



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

გიორგი გოგობია

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი

ნუგზარ თევდორაძე

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია -----	
3	
Annotation -----	4
შესავალი -----	
5	
თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა -----	9
თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი -----	
11	
2.1. ყაჩაღობის შემადგენლობის იურიდიული ანალიზი-----	11
2.2.1 ყაჩაღობის ობიექტი და ობიექტური შემადგენლობა-----	12
2.2.2 ყაჩაღობის სუბიექტი და სუბიექტური შემადგენლობა-----	19
2.3 ყაჩაღობის მაკვალიფიცირებელი ნიშნები -----	23
2.3.1. ყაჩაღობა ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით -----	23
2.3.2. ყაჩაღობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით და ორგანიზებული ჯგუფის მიერ --- -----	29
2.3.3. ყაჩაღობა, სატრასპორტო საშუალების წინააღმდეგ-----	
35	
2.3.4. ყაჩაღობა არაერთგზის და იმის მიერ ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისთვის -----	39
2.3.5. ყაჩაღობა, ჩადენილი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით-----	45
2.4. ყაჩაღობის გამიჯვნა მასთან ახლო მდგომ სხვა შემადგენლობისაგან-----	
47	
2.4.1. ბანდიტიზმის გამიჯვნა ყაჩაღობისგან-----	47
2.4.2. ძარცვის გამიჯვნა ყაჩაღობისგან-----	50

2.4.3. გამოძალვის გამიჯვნა ყაჩალობისგან-----	
53	
თავი III. კვლევის შედეგები -----	57
დასკვნა -----	
61	
გამოყენებული ლიტერატურა -----	63

ანოტაცია

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის თემაა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყაჩალობისათვის. ნაშრომი შედგება 65 ნაბეჭდი გვერდისგან, რომელიც მოიცავს შესავალს, ლიტერატურის მოკლე მიმოხილვას, პრობლემის კვლევას/ანალიზს, კვლევის შედეგებს, დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას.

შესავალში საუბარია თემის აქტუალობასა და მისი დამუშავების მნიშვნელობაზე სისხლის სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკისთვის. ასევე განხილულია ნაშრომის მიზანი, ამოცანა და კვლევის მეთოდები.

ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება იმ ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც გამოყენებულია აღნიშნული ნაშრომის კვლევის პროცესში. მეორე თავში მოცემულია ყაჩალობის შემადგენლობის იურიდიული ანალიზი მისი ობიექტური და სუბიექტური ნიშნების მიხედვით, ასევე განხილულია ყაჩალობის მაკვალიფიცირებელი ნიშნები. ასევე ცალკე ქვეთავი ეძღვნება ყაჩალობის გამიჯვნას მასთან ახლოს მდგომ სხვა

დანაშაულებებისგან. მესამე თავში კი შეფასებულია აღნიშნული საკითხის კვლევისას მიღებული შედეგები.

Annotation

The subject of this master's thesis is criminal responsibility for robbery. The work consists of 65 printed pages, including introduction, short review of literature, problem research/analysis, survey results, conclusion, and list of used literature.

The introduction contains theme's actuality, goals and the importance of processing it for the criminal theory and court practice. Also there is discussed the goal, task and research methods of the work.

The first chapter of the thesis is dedicated to the review of the literature which is used in the research process. The second chapter provides a legal analysis of robbery, based on it's objective and subjective characteristics, as well there are also considered qualification marks of robbery. Also a separate subchapter is dedicated to the separation of robbery from other

crimes that are close to him. The third chapter evaluates the results obtained in the study of the abovementioned issue.

შესავალი

სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია ყაჩაღობის სისხლისსამართლებრივი დახასიათება და კვალიფიკაციის პრობლემა. მისი მეცნიერული კვლევის აქტუალობა განპირობებულია საკითხის თეორიული და პრაქტიკული ღირებულებით, რადგან კვლევისას ყურადღება ექცევა არა მარტო სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაციისა და ყაჩაღობის მაკვალიფიცირებელი ნიშნების გამოყენებას, არამედ ზოგადი ნაწილის მუხლების განმარტებასაც, რომელიც გამოიყენება ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შეფასებისას.

უძველესი დროიდან მოყოლებული საქართველოში დიდი ყურადღება ექცეოდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში სამართლებრივი დონე იმ დროსთან შედარებით გაცილებით მაღალ დონეზე იდგა, რადგან ჩადენილ ქმედებებს შედარებით სწორი კვალიფიკაცია ეძლეოდა. საქართველოში ძველად სხვისი ქონების თარულად მითვისებას „პარვა“ ერქვა, ხოლო მიმთვისებელს - „მპარავი“. როდესაც მიმთვისებელის მოქმედება ცხადი იყო და ძალით იტაცებდა, მაშინ ამას „რბევა“-ს და „მიმძლავრება“-ს უწოდებდნენ, მოქმედ პირს კი „მძლავრებელ“-ს ეძახდნენ. ყაჩაღობის წინააღმდეგ ბრძოლას საქართველოში საკმაო ისტორია აქვს.¹

სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საკუთრების დაცვა, იქნება ეს კერძო, სახელმწიფო, თუ საზოგადოებრივი საკუთრება. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით გაუქმდა ქონების დაყოფა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და მოქალაქის პირად ქონებად და ყველა სახის ქონებას დაუწესდა ერთნაირი იურიდიული რეჟიმი.

აღსანიშნავია, რომ ყაჩაღობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულთა შემადგენლობებში არ იყო პირდაპირი მითითება მოძრავი ნივთის მისაკუთრების მიზანზე, რაც ქმნიდა სირთულეებს სასამართლო პრაქტიკაში. მოქმედ კოდექსში ეს ნაკლი გამოსწორებულია. „სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლში, რომელიც ყაჩაღობას ეხება, მითითებულია, რომ ყაჩაღობა არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით“.² ეს მუხლი ოთხნაწილიანია და საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით საკმაოდ დახვეწილია“.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის ყაჩაღობა წარმოადგენს ყველაზე მძიმე დანაშაულს. ეს განპირობებულია იმით, რომ ყაჩაღობა ერთდროულად ხელყოფს ორ სიკეთეს - საკუთრებას და ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. საკუთრების ხელყოფა ყაჩაღობის დროს ხდება თავდასხმით, რომელსაც თან ერთვის

¹ რ. კვარაცხელია, „ყაჩაღობის კვალიფიკაციის და გამოძიების პრობლემები“, თბ., 2014, გვ. 12

² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ. 179

ნივთის მესაკუთრეზე, ან მფლობელზე სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა. ადამიანზე ძალადობასთანაა დაკავშირებული ასევე საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაული, როგორც არის დარცვა ძალადობით.

ყაჩაღობისა და ძალადობითი დარცვის გამიჯვნა სასამართლო პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეებს იწვევს, რადგან მათ შორის მკვეთრი ზღვარის გავლება ხანდახან საკმაოდ რთულია. ამიტომაც შემთხვევითი არაა ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლო პრაქტიკაში არსებული ხარვეზები. სირთულეები უკავშირდება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ძალადობის შედეგად დაზარალებულს ადგება ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება. ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას პრაქტიკა არაერთგვაროვანია. ხანდახან ასეთი შემთხვევების დაკვალიფიცირება ხდება, როგორც ყაჩაღობას, ზოგჯერ კი - როგორც ძალადობით დარცვად. იურიდიულ ლიტერატურაშიც გვხვდება აზრთა სხვადასხვაობა. პრობლემებია აგრეთვე დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციის საკითხის გადწყვეტისას. სწორედ აღნიშნულმა პრობლემამტიკამ განაპირობა ჩემი დაინტერესება ყაჩაღობისა და ძალადობითი დარცვის საკითხებით.

ნაშრომი წარმოადგენს ყაჩაღობის კვალიფიკაციის პრობლემების განხილვისა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობის გაანალიზების შედეგს, მასში განიხილება სისხლის სამართლის ტრადიციული პრობლემამტიკა, რომელიც დღესაც მეტად აქტუალურია. ნაშრომში პრობლემა განხილულია არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივად, არამედ საჭიროებისამებრ კომპლექსურად.

საკვლევი თემის აქტუალობა. საკვლევი თემის აქტუალობაზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემები ბოლო ათწლეულის განმავლობაში, გამოსაკვლევი დანაშაულის რაოდენობამ იმატა. ასევე აქტუალობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული დანაშაული მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას,

ბოლო გახშირებული შემთხვევები საზოგადოებაში აჩენს შიშს და დაუცველობის განცდას.

ნაშრომის მიზანი და ამოცანა. სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ამ საკითხზე სისხლის სამართლის დოგმატიკაში არსებული შეხედულებების ანალიზი და სადაო საკითხებზე საკუთარი პოზიციის შემუშავება, ასევე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განხორციელების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება ყაჩაღობისა და ძარცვის გამიჯვნის თვალსაზრისით. ასევე წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზანია იურიდიული, ფსიქოლოგიური, სხვა გამოყენებული ლიტერატურისა და საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის გაანალიზების შედეგად ჩამოაყალიბოს ყაჩაღობის სწორი კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტის გზები, დეტალურად ახსნას, მაკვალიფიცირებელ ნიშანთა გამოყენების სპეციფიკა. უფრო ზუსტად, კვლევის მიზანია გაირკვეს: ყაჩაღობის, ყაჩაღური თავდასხმის, სხვისი ნივთის დაუფლებისა და მისაკუთრების ცნებები; ფსიქიკური ძალადობისა და უვარგისი იარაღით თავდასხმის კვალიფიკაციის საკითხი; ფიზიკური ძალადობის მნიშვნელობა; ყაჩაღობის პასუხისმგებლობის საკითხი მომზადებისთვის; ასევე ნაშრომის ამოცანაა სსკ-ის 179-ე მუხლის ყოველმხრივი და სრულყოფილი შესწავლა, მასზე არსებული ქართული სასამართლო პრაქტიკის შესწავლა, მათი განზოგადებისა და სამართლებრივი შეფასების საფუძველზე.

კვლევის მეთოდები. ზემოთ აღნიშნული მიზნების მიღწევის და ამოცანების გადაჭრისათვის, სამაგისტრო ნაშრომში საკვლევი თემის პრობლემის გაანალიზების დროს გამოყენებულია ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მეტ-ნაკლებად, ობიექტურად წარმოჩინდეს საკვლევი თემის აქტუალობა თანამედროვე სისხლის სამართლის სისტემაში. „ისტორიული მეთოდი“ დამეხმარა განმესხვავებინა გასულ საუკუნეებსა და ახლანდელ დროში, ყაჩაღობის ჩადენის ხერხებს შორის განსხვავება, ასევე მათი მსგავსება და ის მეთოდები, რომელსაც იყენებდნენ მაშინ და ახლაც დანაშაულის

ჩადენისას. „შედარებითი“ მეთოდის დახმარებით და სასამართლო პრაქტიკის კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, შეგვიძლია გავაანალიზოთ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის დადებითი და უარყოფითი მხარეები ზემოაღნიშნული დანაშაულის გამოძიებისას. ასევე გარკვეული საკითხების სიღრმისეულად შესწავლის და შეფასების მიზნით გამოყენებულ იქნა ანალიზის, ლოგიკური და სისტემური მეთოდები.

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

სამაგისტრო თემის სრულად და ობიექტურად გამოკვლევისათვის საჭირო გახდა მასალის დამუშავება და იმ ავტორთა წიგნების გამოყენება რომელშიც ჩვენი თემის ირგვლივ მოიპოვება ინფორმაცია. გავაანალიზე ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია, როგორც უმთავრესი კანონი, რომლიდანაც უნდა გამომდინარეობდეს საქართველოს ყველა სხვა შიდა კანონი. შევეხე საქართველოს სისხლის სამართლის ზოგად და კერძო ნაწილებს, რისი საშუალებითაც აღნიშნულ თემაზე მუშაობა უფრო გამარტივდა. კერძოდ: გამოვიყენეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის დახმარებითაც სხვა სახელმძღვანელოებთან ერთად გამოვიკვლიეთ, თუ რას წარმოადგენს დანაშაული „ყაჩაღობა“. ასევე ყაჩაღობის არაერთგზისად დაკვალიფიცირების საკითხის შესწავლის მიზნით გამოყენებულ იქნა თამარ ებრალიძის ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხისათვის - კრებული „სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები“ და რამაზ კვარაცხელიას - განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლების სისხლისსამართლებრივი დახასიათება და მისი კვალიფიკაციის პრობლემები.

ასევე გამოყენებული მაქვს სასამართლო გადაწყვეტილებები და სხვა კონკრეტული სახელმძღვანელოები, რომლებშიც სრულყოფილად აღწერილია თუ რას წარმოადგენს დანაშაული „ყაჩაღობა“ და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც დამეხმარა კონკრეტული თემის ირგვლივ ინფორმაციის მოძიებაში. აღნიშნულ თემაზე მუშაობამ, ასევე საშუალება მომცა შემედარებინა იერარქიულად ქვემდგომი და ზემდგომი კანონების შესაბამისობა ერთმანეთთან.

თემაზე მუშაობისას გამოვიყენე (მ.ლევკვიშვილი და სხვები) ავტორთა კოლექტივის მიერ დაწერილი სახელმძღვანელო „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“. ამ სახელმძღვანელოს დახმარებით საშუალება მომცა გავცნობოდი სხვადასხვა ავტორთა ნააზრებს, ჩემს თემასთან დაკავშირებით.

ყაჩაღობის შემადგენლობის იურიდიული ანალიზისას და ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობების განხილვისას გამოვიყენე არაერთი სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილის სახელმძღვანელო: მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი - „პასუხიმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის“, ზ. წულაია - „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, ალ. კვაშილავა, „საკუთრების დაცვის სისხლისამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემები“, რ. კვარაცხელია - „ყაჩაღობის კვალიფიკაციის და გამოძიების პრობლემები“, ზ. მუჟაანაძე - „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი - „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, რ. კვარაცხელია - „ყაჩაღობასთან ბრძოლა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა“ და სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (ზოგადი ნაწილი), ჟურნალი „ადვოკატი-მეოხი“. ამავე მიზნით გამოვიყენე ლ. ჭანტურიას - „უძრავი ნივთის საკუთრება“ და ო. გამყრელიძის - „ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის“ სახელმძღვანელოები.

დადასტურებული ფაქტია, რომ იურისპრუდენცია არაა ზუსტი მეცნიერება, რის გამოც ამ დარგში ბევრია აზრთა სხვადასხვაობა, არსებობს მრავალი მოსაზრება, რომელიც მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან.

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი

2.1. ყაჩაღობის შემადგენლობის იურიდიული ანალიზი

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს შორის ყაჩაღობა წარმოადგენს ყველაზე მძიმე დანაშაულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მიხედვით ყაჩაღობა არის: „თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით“.³

ყაჩაღობის მთავარ და განმსაზღვრელ ობიექტს წარმოადგენს საკუთრება, ხოლო დამატებით ობიექტს წარმოადგენს პიროვნების სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ხელყოფის ობიექტთა მნიშვნელობა და ღირებულება კანონმდებლობამ გაითვალისწინა ყაჩაღობის შემადგენლობის კონსტრუქციის განსაზღვრისას. ყაჩაღობა მიეკუთვნება ე.წ. „შეკვეცილი შემადგენლობის“ დანაშაულს, რაც ნიშნავს იმას, რომ მისი დამთავრების მომენტი გადმოტანილია უფრო ადრეულ სტადიაზე, რასაც დანაშაულის მცდელობა ჰქვია. ყაჩაღობა დამთავრებულად ითვლება პიროვნების მიმართ სიცოცხლისა, ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის, ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარის მომენტიდან, ქონების დაუფლების ფაქტს კი არ აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა. ის ფაქტი, რომ ყაჩაღობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშია შეტანილი, განპირობებულია იმით, რომ ადამიანის (როგორც სისხლის სამართლით დაცული ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტის) წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს ცალკე თავი აქვს დათმობილი, სადაც კარგად არის რეგლამენტირებული მისი სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის

³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ. 179

საკითხები. ამიტომ ყაჩაღობის შემადგენლობაში, საკუთრებით ურთიერთობას, როგორც ხელყოფის ობიექტს, პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება.⁴

ყაჩაღობად არ შეიძლება მივიჩნიოთ ის შემთხვევა, როცა ძალადობა გამოიყენება იმ დოკუმენტების დაუფლების მიზნით, რომელთაც ქონებრივი ღირებულება არ გააჩნიათ. ასეთი სახის მოქმედებები უნდა დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხიმგებლობას პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის. ყაჩაღობის საგანი შესაძლებელია იყოს მხოლოდ სხვისი ქონება, რომელსაც აქვს მატერიალური შინაარსი, ისეთი ქონება, რომელზეც დამნაშავეს არავითარი უფლება არ აქვს. ყაჩაღობის ობიექტური მხარე გამოიხატება თავდასხმაში, რასაც თან ერთვის სიცოცხლის, ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა.

ყაჩაღობა ერთდროულად ხელყოფს ორ სიკეთეს - საკუთრებას და ადამიანის სიცოცხლეს, ან ჯანმრთელობას. სწორედ ამიტაა განპირობებული მისი განსაკუთრებული საშიშროება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულთა შორის. საკუთრების ხელყოფა ყაჩაღობის დროს ხდება თავდასხმით, რომელსაც თან ახლავს ადამიანის სიცოცხლის, ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, ან ასეთი ძალადობის მუქარა. თავდასხმა გულისხმობს უეცარ ძალადობრივ ზემოქმედებას პიროვნებაზე, რომელიც შეიძლება იყოს აშკარა ან გამოიხატოს მოულოდნელ და ყველასგან დაფარულ ზემოქმედებაში იმ პირების მიმართ, რომლებსაც თავდასხმის ფაქტი გაცნობიერებული არ აქვთ.

2.2.1. ყაჩაღობის ობიექტი და ობიექტური შემადგენლობა

⁴ მ.ლეკვეიშვილი, გ.მამულაშვილი, „პასუხიმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის“, თბ., 2011, გვ. 377-378.

სისხლის სამართლის კანონი იცნობს ისეთ დანაშაულებს, რომელთა ერთ-ერთ ნიშანს შეადგენს თავდასხმა, მაგრამ ისევე როგორც ყველა დანაშაული, თავდასხმაც ინდივიდუალურია, მაგალითად, მკვლელობის დროს განხორციელებული თავდასხმა არსებითად განსხვავებულია გაუპატიურების დროს განხორციელებული თავდასხმისგან, რადგან თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი ნიშანი, რითიც შესაძლებელია მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა.

თავდასხმა წესით უნდა მოიცავდეს ერთ შინაარსს, მაგრამ მეცნიერული კვლევის თვალსაზრისით ყოველ დანაშაულში არსებული თავდასხმა მოითხოვს თავისებურ განმარტებას, რადგანაც თითოეული დანაშაულის ბუნება არსებითად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. სიტყვა „თავდასხმა“-ში არ იგულისხმება მხოლოდ ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც გამოიხატება ადამიანის მოქმედებით. ის ასევე შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა სახით, ოღონდ ამ დროს გასათვალისწინებელია კონკრეტული სიტუაცია და დანაშაულის ხასიათი.

თავდასხმის ქვეშ ნაგულისხმებია დამნაშავის აგრესიული ქმედება, რომელიც დაზარალებულისათვისათვის მოულოდნელად, უეცრად ხორციელდება და დაკავშირებულია ძალადობასთან. თავდასხმა უმეტეს შემთხვევაში ხდება აშკარად და აღიქმება დაზარალებულის მიერ, „ზოგჯერ შეიძლება თავდასხმის ფაქტი მის მიერ არც იყოს გააზრებული. მაგალითად: მალულად სროლა, ცივი იარაღით ჭრილობის ბურგიდან მიყენება და ა.შ. თავდასხმა შეიძლება გამოიხატებოდეს ასევე დაზარალებულზე აშკარა, ან ფარულ ზემოქმედებაში ნერვულ-პარალიტიკური, ტოქსიკური ან სხვა გამაბრუებელი საშუალებით, რათა მან გონება დაკარგოს და დამნაშავემ შეძლოს დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელება. ამგვარი ხასიათის ზემოქმედება ხშირად არ აღიქმება დაზარალებულის მიერ, მაგრამ იგი მაინც თავდასხმად უნდა იყოს მიჩნეული. ამასთან, თავდასხმად ვერ ჩაითვლება დაზარალებულზე ზემოქმედება

ალკოჰოლის, ნარკოტიკული საშუალების ან სხვა გამაბრუებელი ნივთიერების გამოყენებით, თუ იგი ნებაყოფლობით იყო მიღებული დაზარალებულის მიერ“.⁵

ყაჩაღობის გამოძიების მიმდინარეობის დროს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები არკვევენ, ჰქონდა თუ არა ადგილი თავდასხმელის მხრიდან ნივთის დაუყონებლივ გადაცემის მოთხოვნას, ვინაიდან ამ გარემოების დადგენა აუცილებელია ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირებისათვის. შესაძლოა მოთხოვნის წაყენებას ძარცვის დროსაც ჰქონდეს ადგილი და მას თან ახლდეს ძალადობაც, მაგრამ ის მაინც განსხვავდება ყაჩაღური თავდასხმისაგან. ყაჩაღური თავდასხმა გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე ძარცვა, რადგან თავდამსხმელი ხშირ შემთხვევაში მზადაა საჭიროების შემთხვევაში დაზარალებულის წინააღმდეგობის გადასალახად გამოიყენოს სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა. ასე რომ, თავდამსხმელი მოითხოვს ნივთის გადაცემას და ამ დროს დაზარალებულისგან შესაძლოა წინააღმდეგობის გადასალახად მიმართავს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას, ან ძალადობის გამოყენების მუქარას. შესაძლოა, ნივთი თავდამსხმელს არ გადასცენ და შესაბამისად ადგილი არ ჰქონდეს მის დაუფლებას, მაგრამ ამის მიუხედავად ყაჩაღობა მაინც ჩაითვლება დამთავრებულად, რადგან იგი, როგორც ფორმალური დანაშაული, ქმედების შედეგს არ მოითხოვს.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება, თუ ფაქტიური ქმედება შეიცავს კანონით დადგენილ ყველა ნიშანს. იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებს მხოლოდ ქმედებისათვის, დადგენილი უნდა იყოს ასეთი ქმედების ჩადენა. ზოგჯერ კანონი პასუხისმგებლობას აწესებს არა მარტო ქმედებისათვის, არამედ ქმედებისა და მისი ჩადენის მიზნისთვის. ასეთ შემთხვევაში დანაშაული დამთავრებულად რომ ჩაითვალოს, საჭიროა დადგინდეს არა მარტო ქმედების ჩადენის ფაქტი, არამედ მისი ჩადენის მიზანიც.

⁵ მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის, თბ., 2011, გვ. 31

ისეთი დანაშაულის ცნების განსაზღვრისთვის, როგორც ყაჩაღობაა, საჭირო არის გულდასმით შეისწავლოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის დისპოზიცია, რომელიც ასეა ჩამოყალიბებული: „ყაჩაღობა ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძლადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით“.⁶

იმისთვის, რომ დანაშაული ყაჩაღობად დაკვალიფიცირდეს, იგი უნდა შეიცავდეს სამ, ან მინიმუმ ორ ნიშანს:

1. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.
2. ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით.
3. ანდა ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით.

თავდასხმაში იგულისმება აშკარა, უეცარი, აგრესიული, ძალადობასთან დაკავშირებული მოქმედება, რომელიც საშიშია სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ასევე რომელსაც შეიძლება თან ახლდეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამავე დროს, უეცრად, მოულოდნელად წაყენებული მოთხოვნა ქონების დაუყონებლივ გადაცემის შესახებ.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს თავდასხმის ცნების არაერთგვაროვანი განსაზღვრება. მეცნიერთა ერთი ჯგუფი საერთოდ არ იძლევა თავდასხმის ცნების განმარტებას, მეორენი კი ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ცნებებად აცხადებენ თავდასხმას და ძალადობის გამოყენებას. პროფესორ ზაურ წულაიას მოსაზრებით, თავდასხმა უნდა გავიგოთ, როგორც დაზარალებულისათვის ისეთი უეცარი,

⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ. 179

მოულოდნელი ძალადობა ან ძალადობის გამოყენება, რომელსაც თავისი ობიექტური ხასიათით შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი ან სხეულის დაზიანება“.⁷

როგორც ჩანს, ავტორი თავდასხმას პირდაპირ აიგივებს ძალადობასთან, რაც არ არის სწორი, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავდასხმა არის მოქმედება, რომელსაც თან ერთვის ძალადობა, ან ძალადობის მუქარა.

ასევე უნდა აღინიშნოს ის, რომ „თავდასხმა და მის შედეგად უშუალოდ განხორციელებული ძალადობა არის ორი განუყოფელი აგრესიული აქტის ერთიანობა. ამიტომ თავდასხმაზე, როგორც ყაჩაღობის დამოუკიდებელ ობიექტურ ნიშანზე, შეიძლება მხოლოდ პირობითად ვილაპარაკოთ, ვინაიდან ძალადობის გარეშე იგი კარგავს თავის სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას“.⁸

ყაჩაღური თავდასხმა მოიცავს ორ ასპექტს:

1. დაზარალებულთან უეცარ, მოულოდნელ, უშუალო შეხვედრას;
2. ნივთის დაუყოვნებლივი გადაცემის მოთხოვნის წაყენებას.

ყაჩაღური თავდასხმისას აუცილებელია ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარის, ან ასეთი ძალადობის გამოყენება. პირველ შემთხვევაში ძალადობის მუქარა ხდება ადამიანის ფსიქიკაზე უშუალო ზემოქმედების გზით, ხოლო მეორე შემთხვევაში ძალადობა ხდება ადამიანის სხეულზე უშუალო შეხების გზით. ფაქტობრივად თავდასხმა იწყება დაზარალებულთან შეხვედრისას მისთვის მოძრავი ნივთის გადმოცემის მოთხოვნით, რომელსაც თან ახლავს ჯანმრთელობისათვის, ან სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა, რომელიც დაზარალებულის მიერ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში მთავრდება ჯანმრთელობისათვის, ან სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით.

აუცილებელია თავდამსხმელმა გამოიყენოს ფსიქიკური ძალადობა რათა ნივთის გადაცემის მოთხოვნა გახდეს დაზარალებულის იძულების საშუალება. ამიტომ

⁷ ზ.წულაია, სისხლის სამართლი, კერძო ნაწილი, ტ. 2, თბ., 2001, გვ. 64.

⁸ მ.ლეკვეიშვილი, გ.მამულაშვილი, „პასუხიმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის“, თბ., 2011, გვ. 298

ყაჩაღური თავდასხმის ქვეშ შეიძლება ვიგულისხმოთ ობიექტურად და სუბიექტურად საშიში გარემოს შექმნა, რომელსაც რეალურად შეიძლება მოჰყვეს ფიზიკური ძალადობა დაზარალებულის მიმართ, თუ იგი ეცდება ნივთის დაუფლების დროს წინააღმდეგობის გაწევას. თავდასხმაში ჩამალული ძალადობის საშიშროება შეიძლება სწრაფად განხორციელდეს დაზარალებულზე ფიზიკური ზემოქმედების გზით, თავდასხმა ყოველთვის უთავსდება ისეთ ძალადობას, რომელიც ხორციელდება თავდამსხმელის მიერ ძალადობის, ან იარაღის გამოყენებით, ანდა უშუალოდ ძალადობის გამოყენების მუქარით.

თავდასხმა არ არის ერთაქტიანი მოქმედება, რომელიც ამოიწურება ფიზიკური, ან ფსიქიკური ძალადობის გამოყენებით, არამედ ის არის დაზარალებულზე ზემოქმედების პროცესი, რომელშიც დამალულია რეალური საშიშროება ძალადობის გამოყენების გარკვეული დროის მონაკვეთში, თავდასხმის მიმდინარეობისას. ამიტომ თავდასხმა ძალადობასთან განუყრელად დაკავშირებული ცნებაა, მაგრამ არა მასთან პირდაპირ გაიგივებული. სწორედ ამიტომაც მითითებული კანონში თავდასხმაზე, რომელიც ჩადენილია ძალადობით.

რაც შეეხება დაცულ სამართლებრივ სიკეთეს ყაჩაღობის დროს ცნობილია, რომ დანაშაული, როგორც მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, ხელყოფს მის ობიექტს. სწორედ, ობიექტის ხელყოფა ან მისთვის საფრთხის შექმნა აქცევს ქმედებას დანაშაულად. დანაშაული კი არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი.

იმისთვის, რომ ქმედებას მიეცეს სწორი კვალიფიკაცია, უნდა დადგინდეს დანაშაულის ობიექტი. მოქმედი კანონმდებლობა ობიექტში გულისხმობს საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კანონიერ ინტერესებს, უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, ანუ კანონით დაცულ სიკეთეს, საყოველთაო ღირებულებებსა და კულტურულ ფასეულობებს.

ყაჩაღობა უფრო მეტად ხელყოფს ინდივიდუალურ-სამართლებრივ სიკეთეს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ყაჩაღობის კვალიფიკაციის დროს აქვს მოქმედ ობიექტს, იმას რაც ზიანდება დანაშაულის ჩადენის შედეგად. დანაშაულის ობიექტი არის საკუთრება და ჯანმრთელობა, მაგრამ მათ შორის უპირატესობა ენიჭება საკუთრებას, ვინაიდან ყაჩაღობა არის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საკუთრების ცნებას ცალკე არ განმარტავს, მაგრამ ქონებისა და საკუთრების მფლობელის განსაზღვრისას, კანონი და კანონმდებელი მიიჩნევს, რომ საკუთრება არის პირის მიერ ნივთზე მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლების კანონიერად მოპოვება.

პროფესორი ლ. ჭანტურია, განმარტავს, რომ „სამოქალაქო სამართალში საკუთრება არის ნივთზე ბატონობის სამართლებრივად აღიარებული უფლება“ საკუთრება გულისხმობს არა ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, არამედ უფლებას. ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა გამოიხატება მფლობელობის ცნებით. მფლობელობა სამართლებრივი გაგებით ნიშნავს ნივთის ფაქტობრივ ჰყრობას, მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა ამ ჰყრობის უფლება“.⁹

ხშირია შემთხვევები, როცა ყაჩაღური თავდასხმის შედეგად პირი კარგავს ქონებას, ასევე მისი განკარგვის, სარგებლობის პრაქტიკულ შესაძლებლობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, შეიძლება საკუთრება არ დაზიანდეს ან პირს ზიანი არ მიაღგეს, რადგან პირველი, მას საკუთრება უნარჩუნდება და მეორე, ნივთი შესაძლოა სხვის მფლობელობაში იყოს და არსებობდეს მისი დაბრუნების, ან ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფესორ ალექსანდრე კვაშილაავას. იგი წერს: „საკუთრება განსაზღვრავს მესაკუთრეს, ხოლო მესაკუთრე ის პირია, რომელსაც, როგორც წესი, მატერიალურ ზიანს აყენებს საკუთრებაში არსებული ქონების ნებისმიერი ხერხით გატაცება. ქონების

⁹ ლ.ჭანტურია, უძრავი ნივთის საკუთრება, თბ., 2001, გვ. 43.

გატაცებით მესაკუთრისათვის, როგორც წესი, მატერიალური ზიანის მიყენებაზეა ლაპარაკი, იმიტომ, რომ ქონების გატაცება ზარალის მიყენების გარეშე არ ხდება, მაგრამ ამ დანაშაულის შედეგად ზარალი შეიძლება განიცადოს არა მესაკუთრემ, არამედ მფლობელმა, ზარალის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელმა პირმა და სხვამ. მაგალითად, სესხად ან სხვისთვის გადასაცემად მიღებული ფული არ წარმოადგენს მისი მფლობელის საკუთრებას, მაგრამ მის მფლობელს ეს ფული თუ მოჰარეს, ზარალს განიცდის იგი და არა მესაკუთრე. ანალოგიურად წყდება საკითხი მიზარებული ქონების გატაცებისა და სხვა მსგავს შემთხვევებში¹⁰.

ზოგიერთი დანაშაულის დისპოზიციაში მითითებულია მოძრავი ნივთი, რომელსაც დანაშაულის კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა აქვს არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც მას კანონი გამოყოფს და მისი ხელყოფისთვის ცალკე აწესებს პასუხისმგებლობას. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით“. ამ დისპოზიციაში მითითებულია მხოლოდ მოძრავ ნივთზე. კანონმდებელმა ახალ კოდექსში სიტყვა ქონების ნაცვლად შეიტანა სიტყვა ნივთი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი, ან უძრავი, სამოქალაქო კოდექსის 149- მუხლი განსაზღვრავს უძრავი ნივთის ცნებას. ხსენებული მუხლი „უძრავ ნივთს მიაკუთვნებს მიწის ნაკვეთს მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებულ მცენარეებს, ასევე შენობა-ნაგებობებს, რომლებიც მყარად დგას მიწაზე“. რაც შეეხება მოძრავ ნივთს, მის ცნებას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა, მაგრამ მოძრავად უნდა ჩაითვალოს ყველა ნივთი, რომელიც არ არის უძრავი.

¹⁰ ალ.კვაშილავა, „საკუთრების დაცვის სისხლისამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემები“, თბ., 1997, გვ. 173

ნივთისთვის დამახასიათებელია ის, რომ ნივთი ზოგიერთი დანაშაულის დისპოზიციაში პირდაპირ არის განსაზღვრული. მაგალითად ქურდობაში, ძარცვაში და ყაჩაღობაში, რაც იმით აიხსნება, რომ ის არის იმ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება ნიშნავს ნივთის უკანონო დაუფლებას. ნივთის უკანონო დაუფლების შემთხვევაში მას ემუქრება დაზიანება ან განადგურება. ობიექტი გააჩნია ყველა დანაშაულს და მისი ზუსტად განსაზღვრის გარეშე დანაშაულის კვალიფიკაცია შეუძლებელია, რადგან ყველა შემთხვევაში დანაშაული აზიანებს მის ობიექტს. ამიტომ, თუ არ იქნება განსაზღვრული დანაშაულის ობიექტი, არ იქნება ცნობილი, რა დაზიანდა დანაშაულის ჩადენის შედეგად. ეს კი არ მოგვცემს ქმედების სწორად შეფასებისა და კანონის ნორმის ზუსტად გამოყენების საშუალებას.

2.2.2. ყაჩაღობის სუბიექტი და სუბიექტური შემადგენლობა

დანაშაულის (ქმედების) შემადგენლობის ძალზე მნიშვნელოვანი და პრობლემატური სახეა ქმედების სუბიექტური შემადგენლობა. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ნიშნებია:

- ა) განზრახვა და განუზრახველობა;
- ბ) მისი სხვა ნიშნები: მოტივი, მიზანი;
- გ) ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები;

თანამედროვე სისხლის სამართალში განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებს აღარ წარმოადგენენ და ეს სიახლე დაფუძნებულია კლასიკური სისხლის სამართლის თეორიის დებულებებზე.¹¹

სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის დისპოზიცია ისეა აგებული, რომ იქ მითითებულია მხოლოდ მოქმედებაზე და მასში ასახულია ის ნიშნები, რომლებიც ყაჩაღურ თავდასხმას დანაშაულებრივ ხასიათს აძლევენ, ხოლო შემდგომი შედეგის

¹¹ ჟურნალი „ადვოკატი-მეოხი“, (სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარების ზოგადი ნაწილი), თბ., 2003, გვ. 21

დადგომა, ან განხორციელება ყაჩაღობის აუცილებელ ელემენტს აღარ წარმოადგენს. ამიტომ ყაჩაღობის ჩადენის დროს თავდასხმელის წარმოდგენა უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ თვით მოქმედებასა და სისხლის სამართლის კოდექსში ასახულ მის თვისებებზე და არა შედეგზე, რომელიც შეიძლება თავდასხმას, ან ძალადობას მოჰყვეს.

არსებობს განზრახვის ორი ფორმა პირდაპირი და არაპირდაპირი: „ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას“.

ხოლო, „ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას“.¹²

ქმედების ყაჩაღობად დაკვალითვისებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი სუბიექტური შემადგენლობის ზუსტ განსაზღვრას. ყაჩაღობის სუბიექტურ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს თავდამსხმელის ფსიქიკური დამოკიდებულება მისი ქმედებისა და შესაძლო შედეგის მიმართ.

ყაჩაღობა განზრახი დანაშაულია, ვიდრე დაიწყება მისი შესრულება, ის უკვე წარმოშობილია იდეის სახით. მისმა ჩამდენმა ჯერ უნდა ჩაიფიქროს მისი ჩადენა, შემდეგ მოემზადოს დანაშაულის ჩასადენად, რეალიზაცია გაუკეთოს განზრახვას და იზრუნოს შედეგის მიღწევისთვის. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ უკანონოდ ეუფლება სხვის ნივთს და სურს ეს შედეგი. ამასთან მას გაცნობიერებული აქვს, რომ იყენებს სიცოცხლისათვის, ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას, ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარას, ანდა უშვებს, რომ მის მიერ განხორციელებული ძალადობა საშიშია სიცოცხლისათვის, ან ჯანმრთელობისათვის.

¹² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ.9

თუ დამნაშავეს ძალადობის განხორციელების პროცესში გაცნობიერებული არ ჰქონდა ძალადობის სიცოცხლისათვის, ან ჯანმრთელობისათვის საშიში ხასიათი, ის პასუხს აგებს ძარცვის და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის, ან ჯანმრთელობის გაუფრთხილებლობით დაზიანების შესაბამისი მუხლით.

დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მთავარი ადგილი უჭირავს ადამიანის ქცევას, რომელიც დაკავშირებულია მართლსაწინააღმდეგო შედეგთან, ან ასეთი საფრთხის შექმნასთან. ვინაიდან, მართლსაწინააღმდეგო შედეგი დაკავშირებულია დამნაშავეს გადანყვეტილების ფსიქოლოგიურ მექანიზმზე, შეუძლებელია ასეთი შედეგის დადგომა სუბიექტის შინაგანი აქტისაგან მონყვეტით.

მნიშვნელოვანია, ყაჩაღობის სუბიექტური მხარის ისეთი ფაკულტატური ელემენტების შესწავლა, როგორც არის: ყაჩაღობის ჩადენის მოტივი და მიზანი. ყაჩაღობა არის ნივთის მისაკუთრების მიზნით თავდასხმა, მაგრამ გასარკვევია ყაჩაღობის ჩადენის მიზანი, ანუ რა მიზნით მიისაკუთრა სხვისი ნივთი თავდამსხმელმა. ეს შეიძლება იყოს პირადი გამდიდრების, შურისძიების მიზანი და ა.შ. ხოლო მოტივი შეიძლება იყოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა. სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლში ყაჩაღობის ჩადენის მოტივზე საუბარი არ არის საუბარი. რაც შეეხება მიზანს, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის შესაბამისად, „ყაჩაღობა შეიძლება ჩადენილი იქნეს დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით“.¹³

ყაჩაღობის კვალიფიკაციის საკითხის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, ხომ არ არის დაუფლებული ისეთი ნივთები, რომელთა მიმართაც აუცილებელია სპეციალური განზრახვის არსებობა. სპეციალური განზრახვად უნდა ჩაითვალოს ისეთი განზრახვა, როდესაც პირის ქმედება მიმართულია კონკრეტული საგნის დაუფლებისკენ. უნდა დადგინდეს, ჰქონდა თუ არა პირს კონკრეტულად იმ ნივთის დაუფლების მიზანი, რომელსაც დაუფლებიან ყაჩაღური თავდასხმისას.

¹³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ. 179

რაც შეეხება შეცდომას, შეცდომა იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც კანონით აღწერილი ქმედების შემადგენლობის ფაქტობრივი ნიშნების, თუ იურიდიული შეფასების არასწორი წარმოდგენა. შეცდომა ამის მიხედვით ორი სახისაა: ფაქტობრივი და იურიდიული.¹⁴ შეცდომა დაზარალებულის პიროვნებაში გავლენას ვერ მოახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე. კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ ახდენს ასევე შეცდომა ისეთ ფაქტობრივ გარემოებებში, რომლებიც არ მიეკუთვნებიან დანაშაულის შემადგენლობას, მაგ. დაზარალებულის სქესი, კანის ფერი და სხვა.

მოქმედებისაგან გადახრა ეწოდება ისეთი შედეგს, როდესაც ზიანს განიცდის არა ის სიკეთე, რაზედაც მიმართული იყო ხელყოფა, არამედ სხვა სიკეთეც, მაგრამ ეს ხდება დამნაშავესგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

ფაქტობრივ შეცდომაში იგულისხმება ობიექტური ნიშნების არასწორი წარმოდგენა, რაც ყაჩაღობის დროს გამოიხატება თავდასხმის, დაუფლების ხერხისა და ძალადობის მუქარის არასწორ წარმოდგენაში.

ყაჩაღობის კვალიფიკაციის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ხშირად თავდამსხმელი იყენებს ისეთ მეთოდებს, რომლებიც უფრო მარტივ გამოსავალს წარმოადგენენ თავდასხმის ჩასადენად. მაგალითად. უვარგისი იარაღით თავდასხმა.¹⁵

ყაჩაღობის სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირი განზრახვაში. დამნაშავეს გათვინობიერებული აქვს თავისი მოქმედების საშიშროება და ის ზიანი, რაც შეიძლება მიადგეს დაზარალებულს, ასევე მას სურს მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლოს მის ქონებას.

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, პასუხიმგებლობა შეიძლება დაეკისროს 14 წლის მიღწეულ შერაცხად პირებს.

2.3. ყაჩაღობის მაკვალიფიცირებელი ნიშნები

¹⁴ ო.გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, გვ. 105.

¹⁵ რ.კვარაცხელია, სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობა ყაჩაღობისათვის (სასამართლო და საგამომძიებო პრაქტიკის ანალიზი და კომენტარი), თბ., 2010, გვ. 92

2.3.1. ყაჩაღობა ბინაში, სადგომში, ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით

სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობისათვის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტთან შედარების სასჯელი უფრო მკაცრია, ამდენად კანონმდებელმა ცვლილებების შეტანით სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევა დააწილა ბინაში უკანონო შეღწევას და და ცალკე პუნქტით ჩამოაყალიბა.

ბინაში უკანონო შეღწევა, როგორც მაკვალიფიცირებელი ნიშანი, გულისხმობს იმას, რომ პირმა ბინაში თუ ოთახში შიგნით უნდა შეაღწიოს, ან შეიძლება არ შევიდეს, მაგრამ რაიმე საშუალებით ფანჯრიდან გარეთ გამოიტანოს ნივთი.

„ბინის“ ცნების განსაზღვრისას და ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის სასამართლოები ხელმძღვანელობდნენ „პირადი ქონების ქურდობის საქმეებზე“ უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1993 წლის 22 დეკემბრის მე-10 დადგენილებით, რომლის მიხედვით ბინა იყო მოქალაქეთა მუდმივი ან დროებითი (სასტუმროს ოთახი, სააგარაკო სახლი და სხვა) საცხოვრებელი, ასევე სხვა დანიშნულებისათვის განკუთვნილი ბინის განუყოფელი ნაწილი. ამჟამად არსებული სახელმძღვანელოს მიხედვით, ბინა არის ის, სადაც ადამიანი ცხოვრობს, დაბინავებულია მუდმივად ან დროებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკა შემდეგნაირია: ქ.ზუგდიდში, ქუჩის #10-ში მ.ზ 2010 წლის აპრილიდან იმყოფებოდა რაიონის სოფელში მცხოვრებ რ.ს საცხოვრებელ სახლში. 2010 წლის 22 ივლისს დღის მეორე ნახევარში, მ.ზ 8-ს სოფელის მიმართულებით მგაზვრობისას შეხვდათ თავის ნათესავს რაიონის სოფელში მცხოვრებ ქ-ს, რომელსაც თან ახლდნენ მეგობრები. მდინარიდან დაბრუნების შემდგომ მათ შემთხვევით შეხვდნენ გ და გ.ქ-ს რომლებმაც დაპატიჟეს თავიანთ სახლში, სადაც ოჯახის დიასახლისმა გაშალა სუფრა. სუფრასთან მ.ზ და მასთან მყოფმა ბიჭებმა დალიეს ალკოჰოლური სასმელი არაყი 2 ჭიქა. დაახლოებით

22 საათსა და 30 წუთზე მ.ზ-ა პ.ქ-ა ბ.ნ-ი და რ.პ გავიდნენ ქ და გ.ქ-ს საცხოვრებელი სახლიდან და გაემართნენ რ-ის სახლის მიმართულებით. გზაში როდესაც გადიოდნენ იმავე სოფელში მცხოვრებ ლ.თ-ს ასულის ჭიშკართან, მ.ზ-მ შესთავაზა მასთან მყოფ ახალგაზრდებს, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თავს დასხმოდნენ. ლ-ს პ.ქ-ა, ბ.ნ-ი და რ.პ დათანხმდნენ მ-ს წინადადებას და მასთან ერთად განიზრახეს, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ლ.ი-ს განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. მ.ზ-ა, პ.ქ-ა, ბ.ნ-ი და რ.პ შევიდნენ ლ.ი-ს ეზოში, მივიდნენ მის საცხოვრებელ სახლთან, მ.ზ-ა და პ.ქ-ა ავიდნენ საცხოვრებელი სახლის გვერდით მდებარე დამხმარე ნაგებობის სახურავზე, დასაკეცი დანის გამოყენებით გამოიღეს სახლის მეორე სართულის კედელში არსებული ფანჯრის მინა, გააღეს ფანჯარა, რის შემდეგაც მ.ზ პ.ქ-მ და რ.პ-მ უკანონოდ შეაღწიეს ლ.ი-ს საცხოვრებელ სახლში, ხოლო ბ.ნ-ი დატოვეს გარეთ. რათა ვინმეს გამოჩენის შემთხვევაში გაეფრთხილებინა ისინი. ამის შემდგომ მათ მიერ მოხდა თავიანთი განზრახვის სრულად განხორციელება.

მ.ზ-ა 179-ე მუხლის მე-II ნაწილის „ბ“ და მე-II ნაწილის „ბ“ მიესაჯა (116).

პ.ქ-ა ცნობილი იქნა დამნაშავედ 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ და III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტები (86).

რ.პ-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ და III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (116).

ბ.ნ-ი ცნობილი იქნა დამნაშავედ 179 მუხლის II ნაწილის „ბ“ და III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (106).¹⁶

აღნიშნული განაჩენის გასაჩივრება, მოხდა ქუთაისის სააპელაციოს სასამართლოს 2011 წლის 2 თებერვლის, მასში არანაირი ცვილება არ შესულა. შემდგომ ამ განაჩენის გასაჩივრება მოხდა უზენაეს სასამართლოში დაცვის მხარის მიერ. 2011 წლის 2 თებერვლის განაჩენში საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სახეზეა ამსრულებლის მ.ზ-ს,

¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სმართლის საქმეებზე, 2011წ. #7

პ.ქ-ს და ქ.პ-ს მიერ ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელსაც არ მოიცავდა მათი თანამონაწილის ბ.ნ-ს განზრახვა. რომელიც იყო გარეთ რათა გაეფრთხილებინა ისინი ვინმეს გამოჩენის შემთხვევაში.

ამდენად, ბრალდების აღნიშნულ ეპიზოდში აღგილი ჰქონდა ამსრულებლის ექსცესს და ბ.ნ-ს მსჯავრი უნდა დაედოს მხოლოდ 177-ე მუხლის III ნაწილის „ა“ „ბ“ ქვეპუნქტზე მითითებით და არა 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ და III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

ჩემი აზრით, უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი ასეთი გადაწყვეტილება არის უსაფუძვლო, რადგან ბ.ნ-ს განზრახვა იყო ყაჩაღობის განხორციელება და არა ქურდობის. მან და ჯგუფმა განიზრახეს, რომ სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თავს დასხმოდნენ ლ.ი-ს. რაც ეს წინასწარ იყო დაგეგმილი და ამიტომ უზენაესი სასამართლოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღება არ არის სწორი, უკეთესი იქნებოდა, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ მომხდარიყო საქმეების უფრო საფუძვლიანად და სიღრმისეულად შესწავლა და გაცნობა.

უზენაესი სასამართლოს მიერ იმისი მითითება, რომ ბ.ნ-ს მიერ განხორციელებული ქმედება არის ექსცესი, არ არის სწორი, რადგან სსკ-ს 26-ე მუხლიდან გამომდინარე, ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა, ამ შემთხვევაში ბ.ნ-ს განზრახვა იყო ყაჩაღობის ჩადენა, რაც ეს წინასწარ იყო ბ.ნ-ს მიერ განზრახული.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგად გამოვლინდა ისეთი შეუსაბამობები და უზუსტობები, რომ ასეთი შეცდომების დაშვება ყოვლად გაუმართლებელია. ვინაიდან მსგავსი სახის გადაწყვეტილებებით ფერხდება არა მარტო სამართლებრივი სფეროს, არამედ მთლიანი ქვეყნის განვითარება და ირღვევა ადამიანის უფლებები.

თუ ყაჩაღობა ჩადენილია ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, არაა აუცილებელი, რათა ყველა თანაამსრულებელი შევიდეს ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში. საკმარისია, მათგან თუნდაც ერთი შევიდეს შიგნით და ეს ფაქტი სხვა თანამონაწილეთა განზრახვითაც იყოს მოცული, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება ამსრულებლის ექსცესი.

უკანონოდ შეღწევის ნიშნით კვალიფიკაციისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ „შეღწევა“ გულისხმობს დაბრკოლებათა გადალახვით ან მის გარეშე ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში დამნაშავეს ფარულ შესვლას.

თუ ყაჩაღობისას ნივთის დაუფლების მიზანი პირს ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში ყოფნისას წარმოეშვა, ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი არ გამოიყენება. სადგომად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი სახის ნაგებობა, რომელშიც ინახება მატერიალური ფასეულობა ან შეიძლება წარმოადგენდეს ადამიანის სამყოფელს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში იგი ასეა ახსნილი: „შენობა ან ნაგებობა, რომელიც წარმოადგენს ადამიანთა სამყოფელს ან განკუთვნილია მატერიალურ ფასეულობათა შესანახად”.¹⁷ „სხვა საცავი“-არის ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც დაცულია ტექნიკური ან სხვა საშუალებით და განკუთვნილია მატერიალურ ფასეულობათა შესანახად (სეიფი, ავტოფარეხი და სხვა). „ბინა“ ცნების განსაზღვრისა და ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის სასამართლოები ხელმძღვანელობდნენ „პირადი ქონების ქურდობის საქმეებზე“ უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1993 წლის 22 დეკემბრის მე-10 დადგენილებით, რომლის მიხედვით, ბინა იყო მოქალაქეთა მუდმივი ან დროებითი (სასტუმროს ოთახი, სააგარაკო სახლი და სხვა) საცხოვრებელი, ასევე სხვა დანიშნულებისათვის განკუთვნილი ბინის განუყოფელი ნაწილი.

სასამართლო პრაქტიკა მდგომარეობს შემდეგში: გ.ფ-ვა ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ს 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ „ბ“ ქვეპუნქტით. მე-18, 179-ე მუხლი II

¹⁷მ.ტურავა და „სხვები“, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004; გვ. 34

ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა ე.ი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მისაკუთრების მიზნით, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, საცავში უკანონო შეღწევით, ასევე ყაჩაღობის თავდასხმის მომზადება ჯგუფურად, საცავში უკანონო შეღწევით, ასევე ყაჩაღური თავდასხმის მომზადება ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა და ტარება.

გ.ს-ია ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ს 179-ე მუხლის II ნაწილია „ა“ „ბ“ ქვეპუნქტით, მე-18, 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა ე.ი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მისაკუთრების მიზნით, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით ჯგუფურად, საცავში უკანონო შეღწევით, ასევე ყაჩაღური თავდასხმის მომზადება ჯგუფურად ბინაში უკანონო შეღწევით, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა შენახვა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, ჩადენილი არაერთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

ვ.ზ.ჯ-ძე ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ს მე-18 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის I და II ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ყაჩაღური თავდასხმის მომზადება ჯგუფურად ბინაში უკანონო შეღწევით, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა და ტარება.

საქმე დგომარეობს შემდეგში: 2006 წლის 12 ივნისს გ.ფ-ვა და გ.ს-ია დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს ყაჩაღური თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მიზნით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გ.ფ-ვა შეიარაღდა წინასწარ შექმნილი გადაჭრილი თოფით

ე.წ. „აბრეზით“ ხოლო გ.ს-ია ასევე წინასწარ სექციონილი პისტოლეტით და იმავე დღეს დაახლოებით 13 საათზე მივიდნენ ე. თბილისში მდებარე სავაჭრო ჯიხურში, სადაც იმყოფებოდნენ გამყიდველები ც.უ-შვილი და დისტრიბუტორი გ.ი-შვილი. თავდამსხმელებმა იარაღის გამოყენების მუქარით, მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით ყაჩაღურად გასტაცეს ფული და ბარათები.

2006 წლის ივნისის შუა რიცხვებში გ.ფ-მ და ზ.ჯ-მ განიზრახეს, ყაჩაღური თავდასხმის გზით, ბინაში შეღწევით გაეტაცებინათ ლ.კ-იას ქონება. მათ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლეს, რადგან დააკავეს შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა.

ამასთან გ.ს-იამ უკანონოდ შეიძინა, შეინახა და მოიხმარა ნარკოტიკული საშუალებები.

აღნიშნული ქმედებებისათვის გ.ს-იას საბოლოოდ მიესაჯა 21 წლითა და 6 თვით, გ.ფ-ვას – 18 წლით, ხოლო ზ.ჯ-ძეს – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით მსჯავრდებულთა მიერ. აპელაციამ ეს განაჩენი უცვლელად დატოვა, ხოლო უზენაესი სასამართლოს მიერ შესწავლილი და დადგენილია, რომ ამ სისხლის სამართლის საქმეში არანაირ საპროცესო კოდექსის დარღვევას არ ჰქონია ადგილი და დაცვის მხარის მიერ გასაჩივრებული განაჩენი არ დაკმაყოფილდა. ამასთან არასწორადაა გამოყენებული მატერიალური კანონი, კერძოდ: 2007 წლის 18 იანვრამდე მოქმედი სსკ-ს მე-18 მუხლის II ნაწილის შესაბამისად, სისხლისსამართლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებული იყო მხოლოდ მძიმე დანაშაულის მომზადებისათვის. მსჯავდებულთა მიერ ყაჩაღობის მომზადებისას მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება წარმოადგენს, მძიმე დანაშაულს რის გამოც სისხლის სამართლის კოდექსის მესამე მუხლის I და III ნაწილებიდან გამომდინარე სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს

რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არ აქვს, ხოლო სსკ-ს მესამე მუხლის III ნაწილიდან გამომდინარე თუ დანაშაულის ჩადებიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი, ამ კანონის შესაბამისად გ.ს-იას, გ.ფ-ვას და ზ.ჯ-ის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს სსკ-ს მე-18, 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიტ წარდგენილ ბრალდების ნაწილში.

გარდა ამისა, გ.ფ-ვას და გ.ს-იას სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით და მე-18 და 179-ე მუხლით არასწორად დაენიშნათ ცალკე-ცალკე სასჯელი, რადგან მათ მიერ აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას, მოქმედი სსკ-ს 15 მუხლის I ნაწილის შესაბამისად, სახეზე იყო ერთი მუხლით გათვალისწინებული არაერთგზის დანაშაული, რაც მხოლოდ ერთი სასჯელის დანიშვნას გულისხმობდა. მართალია, გ.ფ-ვას გ.ს-იას ქმედება მატერიალური კანონის მოთხოვნათა დარღვევით არ დაკვალიფიცირდა. სისხლის სამართლის კოდექსის მე-18, 179-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (ყაჩაღობის მომზადება არაერთგზის) მაგრამ მატერიალური კანონის მოთხოვნის ამ დარღვევამ მნიშვნელოვნად გააუარესა მსჯავრდებულთა მდგომარეობა და საბოლოოდ გამოიწვია მეტისმეტად მკაცრი სასჯელის დანიშვნა, რაც ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპსაც – აღნიშნულის გამო, გ.ფ-ვას და გ.ს-იას სსკ-ს 179-ე მუხლისა და მე-18, 179-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის უნდა დაენიშნოთ ერთი სასჯელი.

ამ სისხლის სამართლის საქმის შესწავლის შედეგად როგორც საქალაქო სასამართლოს, ასევე სააპელაციო სასამართლოების მიერ არ ხორციელდება სისხლის სამართლის საქმის შესწავლა და მისი საფუძვლიანი განხილვა. რაც არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისეთი დანაშაულისათვის, როგორიც არის ყაჩაღობა. ამიტომ პიროვნების პასუხიმგებლობა დგება უფრო მძიმე ფორმით და მსჯავრდებულთა მდგომარეობა საბოლოოდ გამოიწვევს მეტისმეტად მკაცრ სასჯელს. ამიტომ ჩემი

აზრით, უზენაესმა სასამართლომ ამ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით სწორი გადაწყვეტილება მიიღო¹⁸.

2.3.2. ყაჩაღობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით და ორგანიზებული ჯგუფის მიერ

ყაჩაღობის ჩადენა ჯგუფურად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179 მუხლის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია, რომელიც ამძიმებს სასჯელს ამ დანაშაულისათვის და არის გაძლიერებული შერაცხვის საფუძველი. მუხლში ამ დამამძიმებელი გარემოების გათვალისწინება მეტყველებს ყაჩაღობის ჯგუფურად ჩადენის უფრო საშიშროებაზე, ვიდრე ეს შეიძლება იყოს ყაჩაღობა ჩადენილი ერთი პირის მიერ.

აღნიშნული მაკვალიფიცირებელი ნიშანი გულისხმობს ყაჩაღობის ჩადენას ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით და ყაჩაღობას ორგანიზებული ჯგუფის მიერ. სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის I ნაწილის თანახმად „დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი“.¹⁹

2009 წლის 2 დეკემბერს დაახლოებით 18:30 სთ-ზე ალკოჰოლური სიმთვრალის მდომარეობაში მყოფმა ბ.ბ-ძე და დ.ყ-შვილმა ე. ქუთაისში ი. გრიშაშვილისა და გ. ტაბიძის ქუჩების გადაკვეთაზე, ადგილზე გამოძახებით დაიქირავეს დაზარალებულ პ.ჯ-იანის მართვის ქვეშ მყოფი და მისივე პირადი საკუთრების „ოპელ-ვექტრა“-ს ფირმის ტაქსი, რომლითაც ჯერ მათი თანმხლები თ.ბ-ძე ჩაიყვანეს სამტრედიის რაიონის სოფელ ში, ხოლო შემდეგ იმგზავრეს წყალტუბოს რაიონის სოფელ მდე, სადაც მძღოლის მოთხოვნაზე გადაეხადათ მგზავრობის დანახარჯი 55 ლარი, მისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისა დაჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მექარით მათ მძღოლს პ.ჯ-იანზე

¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2009წ. #6

¹⁹ ო.გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ რედაქცია, თბ., 2005; გვ. 45

განახორციელეს თავდასხმა, კერძოდ, უკანა სავარძელში მჭდომმა დ.ყ-შვილმა წელის არეში მძღოლს მიაბჯინა უცხო საგანი და მოსთხოვა მის ხელთ არსებული თანხის სრულად გადაცემა წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრნენ სიცოცხლის მოსპობით, რის გამოც პ.ჯ-იანი იძულებული გახდა გადაეცა თავდამსხმელებისათვის 42 ლარი, რასაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ დ.ყ-შვილი და ბ.ნ-ძე რის შემდეგაც ისინი გადავიდნენ ავტომანქანიდან, დატოვეს შემთხვევის ადგილი და მიიმალნენ.

მათი ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ს 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა ჩადენილი ჯგუფის მიერ).

განაჩენის სააპელაციო წესით გასაჩივრება მოხდა დამცველი ადვოკატების მიერ და ისინი ითხოვდნენ წყალტუბოს რაიონული სასამართლოს განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას. ვინაიდან მათ არ ჰქონდათ მძღოლისათვის გადასაცემი თანხა, მძღოლს პ.ჯ-იანს ანგარიშწარმოების გარანტად მისცეს ბანკის პლასტიკური ბარათი და დაჰპირდნენ თანხის 3-4 დღეში გადახდას, რის შემდეგაც ჩვეულებრივად დაემშვიდობნენ ერთმანეთს და მათ შორის არავითარი ინციდენტი არ მომხდარა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ, 2010 წლის თებერვალის განაჩენით, წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2009 წლის დეკემბრის მსჯავრდებულების ბ.ბ-ძის და დ.ყ-შვილის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: ბ.ბ-ძისა და დ.ყ-შვილის ქმედება სსკ-ს 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ს 180-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

სააპელაციო განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორმა გ.გ-ძემ და ითხოვა მსჯავრდებულთა მიმართ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მოუხსნა მათ ყაჩაღობის ბრალდება.

საკასაციო პალატამ შეისწავლა რა სისხლის საქმის მასალები, მსჯავრდებულების მიმართ მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი ან უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო

გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები შემდეგი გარემოებების გამო: დაზარალებულის პ.ჯ-იანის ჩვენებები არის აშკარად ურთიერთსაწინააღმდეგო, რომელთა საფუძველზეც შეუძლებელია მიჩნეული იქნეს, რომ მსჯავრდებულებმა ბ.ბ-ძემ და დ.ყ-შვილმა მასზე განახორციელეს ყაჩაღური თავდასხმა. დაზარალებულის მიერ, მომხდარი შემთხვევის გარემოებების არასწორად გადმოცემას კიდევ უფრო აშკარას ხდის საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები, მონშეთა ჩვენებები, დაზარალებულის ჩვენების შემთხვევის ადგილზე შემონშების ოქმი და სხვა. პროკურორს საკასაციო საჩივარში ვერ მოჰყავს რეალური და დამაჯერებელი არგუმენტი იმის დასადასტურებლად, რომ ნამდვილად მოხდა ყაჩაღობა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მათ მისცა სამართლებივად აშკარად არასწორი შეფასება, როდესაც ბ.ბ-ძისა და დ.ყ-შვილის ქმედება დააკვალიფიცირა როგორც თაღლითობა, ჩადენილი ჯგუფურად. ვინაიდან თაღლითობის ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ დამნაშავე მოტყუების გზით ეუფლება სხვის კუთვნილ მოძრავ ნივთს, რომელსაც მოტყუებული პირი თავის ნებით გადასცემს დამნაშავეს ან თავისი ნებით უთმობს უფლებას თავის ნივთზე. მოცემულ შემთხვევაში კი არც ბ.ბ-ძემ და არც დ.ყ-შვილი არ დაუფლებიან დაზარალებულის კუთვნილ ფულს ან რაიმე სხვა ნივთს, ასეთი რამე დადგენილი არ არის. მათ პ.ჯ-იანს არ გადაუხადეს მგზავრობის ღირებულება ანუ ის თანხა, რომელიც პ.ჯ-იანს მათგან უნდა მიეღო, მაგრამ ვერ მიიღო, რაც იძლევა სსკ-ს 185-ე მუხლით გათვალისწინებულ ისეთი ქმედების შემადგენლობას, როგორცაა ქონებრივი დაზიანება მოტყუებით.

მითითებული გარემოების გათვალისწინებით, მსჯავრდებულების ბ.ბ-ძისა და დ.ყ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედება სსკ-ს 180-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ს 185-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე და უნდა შეფასდეს როგორც ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, ჩადენილი წინასწარ შეთანხმებული ჯგუფის მიერ.

ამ სასამართლო გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, წყალტუბოს რაიონული სასამართლოს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის სწორი, რადგან მათ მიერ ვერ მოხდა დანაშაულებრივი ქმედების ზუსტად განსაზღვრა, ხოლო უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს დანაშაული არ წარმოადგენს თაღლითობას, არამედ ეს ჩემი აზრით არის ნივთის დაზიანება მოტყუებით.

ყაჩაღობის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია, რომელიც ამძიმებს სასჯელს ამ დანაშაულისათვის და არის გაძლიერებული შერაცხვის საფუძველი. ამ დამამძიმებელი გარემოების გათვალისწინება მეტყველებს ყაჩაღობის ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენის უფრო მეტ საშიშროებაზე, ვიდრე ეს შეიძლება იყოს ყაჩაღობა ჩადენილი ერთი პირის მიერ. სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის III ნაწილის თანახმად „დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება“. სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ასეთი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას.

მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა. ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფის მონაწილეობისათვის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაში ან ჩადენაშიც იგი მონაწილეობდა.

სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, ამ მუხლის მე-III ნაწილის მიზნებისათვის, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა.

სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, ყაჩაღობის ჩამდენი ჯგუფისათვის ორგანიზებულობის კვალიფიკაციის მინიჭებისათვის აუცილებელია ჩამდენიმე პირობის არსებობა:

- 1) ჯგუფი უნდა არსებობდეს დროის განსაზღვრულ პერიოდში;
- 2) ჯგუფი უნდა მოქმედებდეს შეთანხმებულად და უნდა იყოს სტრუქტურული ფორმის მქონე.

ამასთან აუცილებელია, რომ ჯგუფის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან ჩამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება.

განსაზღვრულ პერიოდში ჯგუფის არსებობა გულისხმობს რომ სულაც არაა აუცილებელი მისი მუდმივად არსებობა, ის შეიძლება დაიშალოს ერთი დანაშაულის ჩადენის შემდეგაც კი. ამიტომ ის არ არის მყარი. ორგანიზებული ჯგუფისათვის არ არის აუცილებელი ფორმალურად იყოს როლები განაწილებული, კანონი არც ჯგუფის წევრობის უწყვეტობას ითხოვს.

განაჩენის მიხედვით, რ.ფ-ძეს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სადგომში უკანონო შეღწევით, ჯგუფურად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ყაჩაღობის ჩადენის მომზადებისათვის.

სააპელაციო საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც აპელანტი მხარის დაზუსტებული მოთხოვნა

დააკმაყოფილა ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში მსჯავრდებულის სასიკეთოთ შეიტანა ცვლილებები: რ.ფ-ძეს მოუხსნა სსკ-ს მე-18 მუხლისა და 179-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 236-ე მუხლის IV „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდებები და ამორიცხა ისინი განაჩენიდან, შესაბამის სასჯელთან ერთად, ვინაიდან მიიჩნია, რომ რ. ფ-ძეს აღნიშნული ქმედებები არ ჩაუდენია. გასაჩივრებული განაჩენიდან ამორიცხა ასევე მითითება რ.ფ-ძის სსკ-ს 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მსჯავრდების თაობაზე. ვინაიდან სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ბრალდება არის ზედმეტად შერაცხული.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე პროკურორმა საკასაციო საჩივრით მიმართა უზენაეს სასამართლოს.

საკასაციო პალატამ შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ რ.ფ.-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგი გარემოების გამო:

საკასაციო პალატამ, რომელიც იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომელთაც საფუძველზეც იგი ითხოვს განაჩენის გაუქმებას, ვერ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მოცემულ დასკვნას იმის თაობაზე, რომ რ.ფ-ძეს ყაჩაღობის მომზადება არ ჩაუდენია როგორც ორგანიზირებული ჯგუფის წევრს. სააპელაციო სასამართლოს ასეთი დასკვნა გამოაქვს იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ ჯგუფს რომლის წევრებიც იყვნენ რ.ფ-ძე და სხვა პირები, არ გააჩნია კანონით განსაზღვრული ორგანიზირებული ჯგუფისთვის აუცილებელი დამახასიათებელი სტრუქტურული ფორმის სავალდებულო ნიშანი.

ორგანიზირებული ჯგუფისათვის საჭირო ნიშანთა ერთობლიობა განსაზღვრულია სსკ-ს 27 მუხლის III ნაწილით, რომლის მიხედვით დანაშაული ორგანიზირებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის ჯგუფმა, რომლის

წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამოდენიმე დანაშაულის ჩასადენად. ა.გ სააპელაციო სასამართლოს ზემოთხსენებული დასკვნა მოკლებულია დასაბუთებულობას და საფუძვლიანობას.

ზემოაღნიშნულიდან გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 თებერვლის განაჩენი რ.ფ-ის მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისთვის.

ამ საქმიდან გამომდინარე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ სსკ-ის 179-ე მუხლის IV ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით კვალიფიკაცია ორგანიზირებული ჯგუფთან დაკავშირებით.²⁰

2.3.3. ყაჩაღობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტს გააჩნია შემდეგი მაკვალიფიცირებელი ნიშანი: ყაჩაღობა ჩადენილი, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა ყაჩაღობა, ჩადენილია სატრანსპორტო საშუალების ან მისი ნაწილის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. თუმცა კანონმდებელმა ეს შინაარსი მთლიანად დახვეწილად ვერ გადმოსცა, რადგან იქ საუბარია ყაჩაღობის ჩადენაზე სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ და არა სატრანსპორტო საშუალების ან მისი ნაწილის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავდასხმაზე. აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ სატრანსპორტო საშუალება ან მისი ნაწილი ყოფილა არა ყაჩაღობის (სატრანსპორტო საშუალების ან მისი ნაწილის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით თავდასხმა) საგანი, არამედ „დაზარალებული“. ეს კი აბსურდია და არ შეიძლება სწორი იყოს, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, რომ სისხლის სამართლის

²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2006წ. #9

კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილი „გ“ პუნქტის კოსტრუქცია ჩამოყალიბებულიყო შემდეგი რედაქციით: „ყაჩაღობა ჩადენილი, სატრანსპორტო საშუალების ან მისი ნაწილის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით“ ამით შენარჩუნებული იქნებოდა მისი ფორმალური ხასიათი, რომელიც, ჩვენი აზრით, თვითონ რეკომენდაციის ავტორებს წინადადებების შემუშავებისას არ გაუთვალისწინებიათ, რაც ასახულია კიდეც შემდეგ წინადადებაში „სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილ ყაჩაღობად ითვლება არა მარტო სატრანსპორტო საშუალების დაუფლება, არამედ ასევე სატრანსპორტო საშუალების ნაწილის (აქსესუარის) დაუფლება“.²¹

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო წინადადებებსა და რეკომენდაციებში სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე აღნიშნულია, რომ სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილ ყაჩაღობად ითვლება არა მარტო სატრანსპორტო საშუალების დაუფლება, არამედ ასევე სატრანსპორტო საშუალების ნაწილის (აქსესუარის) დაუფლება. მაგალითად:

I თუ თავდასხმის შედეგად დაეუფლნენ ავტომანქანას, – ჩადენილია ყაჩაღობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ.

II თუ თავდასხმის შედეგად დაეუფლნენ ავტომანქანის სარკეს (საბურავს ან სხვა), – ჩადენილია ყაჩაღობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ.²² ასევე აღნიშნულია, რომ სატრანსპორტო საშუალებიდან სხვა მოძრავი ნივთის ყაჩაღური თავდასხმის გზით დაუფლება არ გულისხმობს ყაჩაღობას ჩადენილს საცაგში ან სადგომში უკანონო შეღწევით. თუმცა არ არის მითითებული ასეთი შემთხვევა წარმოადგენს თუ არა ისეთ ყაჩაღობას, რომელიც მიმართულია სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ. რეკომენდაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი ამას მიიჩნევს მხოლოდ ყაჩაღობად. გარდა ამისა, განსახილველი მუხლის პუნქტის კოდექსში ამ ფორმით

²¹ მ.ტურავა და „სხვები“ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი, თბ. 2005 გვ 297- 301.

²² რ.კვარაცხელია, ყაჩაღობის ობიექტი და საგანი „თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომები“ 2005 # III-IV გვ.205-222

ჩამოყალიბება, ჩვენი აზრით, განპირობებულია მისთვის ფართო მნიშვნელობის მინიჭების მცდელობით, თუმცა ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული რედაქციაც ამ მნიშვნელობას სულაც არაა მოკლებული, ამასთან გრამატიკულადაც უფრო გამართულია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 4 ივნისის განაჩენით, გ.კ.ი ცნობილი იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ს 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ „გ“ ქვეპუნქტებით (9წ), III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (9წ).

ამავე განაცენით, მ.მ-ძე გამართლდა ერთ ეპიზოდში. სსკ-ს 363 მუხლის II ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილი იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ს 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით 6 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ.კ-სა და მ.მ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: გ.კ-ლი 2005 წლის 18 ივლისს გაასამართლა დედოფლისწყაროს რაიონულმა სასამართლომ სსკ-ს 179-ე 184-ე მუხლებით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელის მოხდისგან გათავისუფლდა 2007 წლის 28 ნოემბერს.

2008 წლის 15 მარტს გ.კ-მა და მ.მ-ძე განიზრახეს სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება ყაჩაღური თავდასხმის გზით. იმავე დღეს დაახლოებით 3 საათზე მთვრალმა გ.კ-მა და მ.მ-ძემ ქ. თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე გააჩერეს „ოპელ-ომეგას“ მარკის ტაქსი, რომელსაც მართავდა დ.დ-რი. ტაქსის მძღოლმა მითითებისამებრ აღნიშნული პირები მიიყვანა მ.-ის ქუჩაზე. ერთ-ერთ ჩიხში ბოროტმოქმედებმა გააჩერებინეს ავტომანქანა და დანების გამოყენებით სიცოცხლის მოსპობის მუქარით გასტაცეს სხვადასხვა ნივთები, მათ შორის 40 ლარი, ავტომანქანის მაგნიტოფონი და საფულე, რომელშიც იდო მოქალაქის პირადობისა და მართვის მოწმობები. თავდამსხმელებმა სცადეს ავტო მანქანის გატაცება, მაგრამ ვერ შეძლეს, რადგან გათავდა საწვავი და მიატოვეს შემთხვევის ადგილზე.

იმავე ღამით აღნიშნულმა პირებმა კვლავ განიზრახეს ყაჩაღური თავდასხმის განხორციელება. დაახლოებით 03:30 სთ-ზე, მათ გააჩერეს „ფორდი“-ს მარკის ტაქსი

რომელსაც მართავდა მ.მ-ძე და მათ სთხოვეს ლ-ძის ქუჩაზე მიყვანა. იქ მისვლისას მ.მ-ძემ მძღოლს დანა დაადო კისერზე და მოსთხოვა ფული. დაზარალებულმა მას გადასცა 33 ლარი, ხოლო გ.კ-შვილი დაეუფლა სხვადასხვა ნივთებს. ამის შემდეგ თავდამსხმელები გადავიდნენ ავტომანქანიდან, თუმცა ისინი შემთხვევის ადგილზე დააკავეს დაზარალებულის მიეს საშველად მოხმობილმა პოლიციელებმა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების ადვოკატებმა და ითხოვეს სასჯელის შემცირება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის ოქტომბრის განაჩენით საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელი.

კასატორი – მსჯავრდებული გ.კ-ლი ითხოვეს მისთვის დანიშნული სასჯელის, როგორც მეტისმეტად მკაცრის, მინიმუმამდე შემცირებას. საკასაციო პალატამ შეისწავლა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ჩემი აზრით, უზენაესი სასამართლოს მიერ დაშვებულია შეცდომა, რადგან ამ შემთხვევაში საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება და არც საბრალდებო დასკვნიდან არ გამომდინარეობს ზ.მ-ზე განხორციელებული თავდასხმის ეპიზოდში მსჯავრდებულთა მიერ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის (ყაჩაღობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ) გათვალისწინებული ქმედების ჩადენა. ზ.მ-ძე განმარტავს, რომ თავდამსხმელებს არ მოუთხოვიათ ავტომანქანის ან მისი რომელიმე ნაწილის გადაცემა და არც გაუტაციათ.

გ.კ-იასა და მ.მ.-ძის სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ზ.მ-ძე განხორციელებული თავდასხმის ეპიზოდი) მსჯავრდების ნაწილში უნდა მოხდეს მისი მოხსნა²³.

2.3.4. არაერთგზის და იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის

²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2008. #5

სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლში 2007 წლის 4 ივლისს შეიტანეს ცვლილება, რომლის მიხედვით არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევ პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას... ყაჩაღობის ჩადენა არაერთგზისად, ნიშნავს ნასამართლევ პირის მიერ მის ჩადენას მინიმუმ ერთჯერ მაინც, გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნით გათვალისწინებულია ერთგვაროვანი დანაშაულების ჩადენისას არაერთგზისობის საკითხის გადანყვეტის სხვა გზაც. შენიშვნაში განმარტებულია, რომ „ამ კოდექსის 177-186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზისად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ მუხლებით და 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა“.²⁴ აქედან ირკვევა, რომ თუკი ჩადენილია იდენტური ქმედებები, მაშინ აუცილებელია ნასამართლობის ნიშანი.

მაგალითად, პირმა თუ ჩაიდინა ყაჩაღობა, მაშინ მისი ქმედების არაერთგზისად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია, რომ მას წინათ ჩადენილი ჰქონდეს ყაჩაღობა და იყოს ამის გამო ნასამართლევ. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნით გათვალისწინებულია ერთგვაროვანი და ამავე დროს ზოგიერთ შემთხვევაში იდენტური დანაშაულების ჩადენისას არაერთგზისობის საკითხის გადანყვეტის სხვა გზაც. შენიშვნის მიხედვით თუ პირს ჩადენილი აქვს ყაჩაღობა, მაშინ მისი ქმედება არაერთგზისად დაკვალიფიცირდება თუ მას წინათ ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 177-186-ე, 224-ე, 231-ე, 237-ე და 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული. ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი ამ მუხლების ჩადენისათვის პირი იყოს ნასამართლევ. ამ ცვლილების თანახმად, თუ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალგებისათვის ორჯერ ან მეტჯერ

²⁴ რ.კვარაცხელია, განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლების სისხლის სამართლებრივი დახასიათება და მისი კვალიფიკაციის პრობლემები. თბ. 2008 წელი უურ. „ცხოვრება და კანონი“ #2(4) გვ. 28-31.

ნასამართლევი პირი ჩაიდენს ყაჩაღობას, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის IV ნაწილის „ბ“ პუნქტით და ამ პუნქტს არ დაემატება კიდევ სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის III ნაწილის „ა“ პუნქტი (ყაჩაღობა ჩადენილი არაერთგზის), ვინაიდან, კანონის კონსტრუქციიდან გამომდინარე, დანაშაულის ჩადენა სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის IV ნაწილის „ბ“ პუნქტით გაცილებით მეტი დატვირთვის მატარებელი სპეციალური ნორმაა, ამიტომ ეს არ იძლევა ქმედების დამატებით სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის III ნაწილის „ა“ პუნქტითაც დაკვალიფიცირების საფუძველს. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლში აღნიშნულია, რომ „ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში“.²⁵ სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის II ნაწილის თანახმად „დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა“. ამდენად, დანაშაული არაერთგზის ჩადენილად რომ ჩაითვალოს, პირი, რომელმაც წინათ ჩაიდინა ამგვარი დანაშაული, უნდა იყოს ნასამართლევი და ნასამართლობა არ უნდა ჰქონდეს მოხსნილი ან გაქარწყლებული.

სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-II ნაწილის „ა“ პუნქტით ქმედების კვალიფიკაცია სასამართლო პრაქტიკაში ძირითადად სწორად ხდება.

1998 წელს ე.გ-იანი მსჯავრდებული იქნა პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი ძარცვისათვის და ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. შეწყალების საფუძველზე სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა 1999 წლის მაისში. 2001 წლის 27 მაისს, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარით გაიტაცა მოქალაქე გ.ბ-ურის

²⁵ თ.ებრალიძე, ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხისათვის. კრებული „სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები“, თბ. 2006 გვ. 13-22

კუთვნილი ავტომანქანა. მას მსჯავრი დაედო სსკ-ის 179-ე მუხლის მე-II ნაწილის „ბ“ პუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი არაერთგზის).

საკასაციო საჩივარში ე.გ-იანი აღიშნავდა, რომ „ვინაიდან აღრინდელი დანაშაულისათვის მისჯილი სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა პრეზიდენტის მიერ განხორციელებული შეწყალების აქტით შეეცვალა პირობითი სასჯელით, ეს ნასამართლობა გაქარწყლებული აქვს.“ აქედან გამომდინარე, იგი მოითხოვდა მისი ქმედების გადაკვალიფიცირებას 179-ე მუხლის მე-II ნაწილის „ბ“ პუნქტიდან ამავე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი. პალატის განჩინებაში ვკითხულობთ: „ე.გ-იანი ... მსჯავრდებული იქნა ძარცვისათვის და მიესაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ სასჯელს ის იხდიდა 1998 წლის 16 აგვისტოდან. სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა 1999 წლის 24 მაის პრეზიდენტის მიერ განხორციელებული შეწყალების აქტით, რაც არ ნიშნავს პირობითი მსჯავრდებას. საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მიხედვით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს ნასამართლობა უქარწყლდება სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ. იმავე მუხლის მეოთხე ნაწილი კი განსაზღვრავს, რომ: „თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე იქნა გათავისუფლებული, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან.“ ამდენად, ახალი დანაშაულის – ყაჩაღობის ჩადენის დროს ე.გ-იანს ძარცვის ჩადენისათვის წინანდელი ნასამართლობა გაქარწყლებული არ ჰქონია.

ჩემი აზრით, საკასაციო სასამართლოს მიერ მიეცა სრონი კვალიფიკაცია 2001 წლის 27 მაისს ჩადენილ დანაშაულს, რომელიც დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.²⁶

²⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2001წ. #10

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით „მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას“. ყაჩაღობის შემადგენლობაში ნასამართლობა გათვალისწინებულია მაკვალიფიცირებელ ნიშნად. ამიტომ მნიშვნელოვანია გაირკვეს, ნასამართლობა მოხსნილი აქვს თუ არა პიროვნებას.

თუ პირს, მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს ნასამართლობა, მაშინ მისი ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის IV ნაწილის „ბ“ პუნქტით. ის, ვინც ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლევია ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობისათვის, იწოდება ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლევად სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის. ამის შემდეგ, თუ ის ჩაიდენს ყაჩაღობას, მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის IV ნაწილის „ბ“ პუნქტით. ნასამართლობა შეიძლება მოეხსნას პირს ამნისტიისა და შეწყალების საფუძველზე.

ნასამართლობის გაქარწყლების წესი და ვადები დანვრილებით განხილულია სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილებით და მე-100 მუხლით. ზემოხსენებული მაკვალიფიცირებელი ნიშანი სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის IV ნაწილის „ბ“ პუნქტში მითითებულია ისეთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი, როგორიცაა დანაშაულის ჩადენა იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის. ამ მუხლის შესაბამისი პუნქტით ყაჩაღობის კვალიფიკაციისათვის აუცილებელია სულ მცირე

ორჯერ მაინც ნასამართლობა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ან გამოძალვისათვის.

სასამართლო პრაქტიკა მდგომარეობს შემდეგში: თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2008 წლის 20 ოქტომბრის განაჩენით გ.ჩ-ძე ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ს 179 მუხლის IV ნაწილი „ბ“ ქვეპუნქტით. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ.ჩ-ძე იყო ორჯერ ნასამართლევ სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, (ჯგუფურად ჩაიდინა ყაჩაღობა).

1999 წლის 3 სექტემბერს, გ.ჩ-ძე გაასამართლა ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ. 2000 წლის 23 თებერვალს ამავე სასამართლომ კვლავ გაასამართლა გ.ჩ-ძე სსკ-ს 91-ე მუხლის III ნაწილით (ქურდობა ბინაში შეღწევით)

2004 წლის 26 აპრისლს გ.ჩ-ძე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ სსკ-ს 239 მუხლის პირველი ნაწილით და მიუსაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც ნაწილობრივ დაემატა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 23 თებერვლის განაჩენით დანიშნული და მოუხდელი სასჯელი 3 თვე.

2008 წლის 6 ივლისს გ.ჩ-ძე დაუკავშირდა დაუდგენელ სამ პირს. ისინი შეთანხმდნენ, განეხორციელებინათ ყაჩაღური თავდასხმა, რისთვისაც შეიარაღდნენ ცეცხლსასროლი იარაღით და დანებით. იმავე დღეს, დაახლოებით 6 საათზე აღნიშნული პირები მივიდნენ ქ.თბილისში, სადაც ო.მ-შვილს ცეცხლსასროლი იარაღისა და დანების გამოყენების მუქარით გასტაცეს ფული და სხვადასხვა ნივთები, რითაც მიაყენეს 3100 ლარის ოდენობის ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა და მათ მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

კასატორები – მსჯავრდებული გ.ჩ-ძე და მისი ადვოკატი გ.ტ-ძე საჩივარში მიუთითებენ, რომ განაჩენში არ მოიპოვება გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად საკმარისი მტკიცებულებები.

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უდნა დაკმაყოფილდეს.

მოწმეთა ჩვენებები, რომლებზეც მიუთითებენ კასატორები შეფასებულია ობიექტურად. მ.კ-შვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ დანამდვილებით ვერ იტყვის 6 ივლისს ღამით გ.ჩ-ძე სამსახურიდან გავიდა თუ არა.

დაზარალებულმა ო.მ-შვილმა საქმის წინასწარი გამოძიებისას, ჯერ ფოტოსურათებით, შემდეგ კი პირადად ამოიყნო გ.ჩ-ძე და დაზარალებულმა სასამართლოში მიუთითა, რომ მის ამოცნობაში არ შემცდარა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალებით უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს, რომ გ.ჩ-ძემ ჯგუფურად ჩაიდინა ყაჩაღობა. ამასთან მსჯავრდებულის წინა ნასამართლეობები გაქარწყლებული აქვს და მისი ქმედების სსკ-ს 179-ე მუხლის IV ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირება არ არის სწორი.

ამდენად, ნასამართლეობის გაქარწყლების აღნიშნული 3 წლიანი ვადა ამოიწურებოდა 2008 წლის 6 იანვარს და ვინაიდან გ.ჩ-ძემ ბოლო დანაშაული ჩაიდინა 2008 წლის 6 ივლისს, ამ დროისათვის ნასამართლეობის არ მქონე იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გ.ჩ-ძის მიმართ სსკ-ს 179-ე მუხლის IV ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს და მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა ჩადებილი ჯგუფურად).

ამ სისხლის სამართლის საქმის შესწავლის Aშედეგად, ჩამომიყალიბდა ისეთი შთაბეჭდილება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეების მიერ ვერ განხორციელდა იმის შესწავლა და გაანალიზება, გ.ჩ-ძეს მიერ ჩადენილია თუ არა არაერთგზის დანაშაული. ვინც 2-ჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, ან გამოძალვისათვის.

ჩემი აზრით, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება არის სწორი და სამართლიანი, რადგან თუ არ მოხდებოდა უზენაესი სასამართლოს მიერ გ.ჩ-ძეს მიმართ კანონიერი განაჩენის გამოტანა, მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის დაკისრება უნდა მომხდარიყო ისეთი დანაშაულისათვის, რომელიც გ.ჩ-ძეს არ ჩაუდება. ასევე გასათვალისწინებელია სსკ-ს 179-ე მუხლის IV ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა ითვალისწინებს 11 – 15 წლამდე, ხოლო 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას 6 – 9 წლამდე. თუ არ მოხდებოდა უზენაესი სასამართლოს მხროდან სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში კვალიფიკაციის შეცვლა, მსჯავრდებულის გ.ჩ-ძეს 6 წლით მეტი უნდა მოეხადა სავარაუდოდ.

ეს არის სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რადგან მოსამართლეების მიერ ვერ ხორციელდება მსჯავრდებულდა მიმართ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება.²⁷

2.3.5. ყაჩაღობა, ჩადენილი დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით

როგორც მოგეხსენებათ, ყაჩაღობა განეკუთვნება იმ დანაშაულთა რიცხვს, რომელიც საკუთრების წინააღმდეგაა მიმართული. საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა თავში დიდ ოდენობად ითვლება, ნივთის ღირებულება ათი ათასი ლარის ზევით. ამდენად, ყაჩაღობის დროს თავდამსხმელს შეიძლება ჰქონდეს დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზანი. იგი დაეუფლება თუ არა დიდ ოდენობას ამას კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

პროცესუალური მოქმედებით უნდა დადგინდეს ნივთის დიდი ოდენობით მისაკუთრების განზრახვა. მაგრამ არის სხვა შემთხვევაც, როცა პირს არა აქვს დიდი ოდენობით ნივთის მისაკუთრების განზრახვა.

²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2008წ. #10

მაგალითად, შეღია ითვალისწინებდა რა, რომ ავტომანქანა, რომლის გატაცებასაც ყაჩაღური თავდასხმის გზით ის აპირებს, არის 2000-დან 3000 ლარამდე ღირებულების. სინამდვილეში შეღია არ შეიძლება მივცეთ პასუხისგებაში დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ჩადენილი ყაჩაღობისათვის, რადგან კანონმდებელმა ყაჩაღობის დროს თავდასხმის წინასწარი განზრახვით უნდა ჰქონოდა დიდი ოდენობით ნივთის მისაკუთრების მიზანი. მაგრამ პრაქტიკაში საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები პირის მიზანს არ ითვალისწინებენ. მთავარია შეფასების კრიტერიუმი არის ის, რომ პირმა წაიღო დიდი ოდენობით ნივთი და მათთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, დამნაშავეს ჰქონდა თუ არა ამის მიზანი. ანუ შეღია დაისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის III ნაწილის „გ“ პუნქტით.

პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი ყაჩაღობის დროს გასარკვევია დიდი ოდენობით ნივთის მისაკუთრებას მოიცავდა თუ არა ყველას განზრახვა. თუ არ მოიცავდა ყველას განზრახვა და მხოლოდ ერთმა მოითხოვა დიდი ოდენობით ნივთი, მაშინ ადგილი ექნება ამსრულებლის ექსცესს.

სასამართლო პრაქტიკა მდგომარეობს შემდეგში: 2001 წლის 1 დეკემბერს ლ.გ-ძემ ჯ.უ-ძემ და დ.შ-ოვმა დაახლოებით ღამის 4 საათზე გააჩერეს ტაქსი, მძღოლს ს.შ-ძეს დახრჩობის მუქარიტ მოსთხოვეს მიეცა მათთვის ფული და სხვა ნივთები ჯამში 224 ლარის ღირებულების. ამის შემდეგ, ტაქსის მძღოლი ძალით ჩასვეს საბარგულში, თან შეპირდნენ, რომ ჭიათურაში ჩასვლის თანავე გაათავისუფლებდნენ და მანქანასაც დაუბრუნებდნენ. საჩხერის ტერიტორიაზე მანქანას გაუტყდა „გიტარა“, მათ მიატოვეს მანქანა მძროლთან ერთად და ფეხით გაემართნენ. ისინი მალევე დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ განსასჯელთა ქმედება დააკვალიფიცირა სსკ-ს 184-ე მუხლით (ავტომობილის მართლსაწინააღმდეგო

დაუფლება, მისაკუთრების მიზნის გარეშე) და 179-ე მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტით (ჯგუფურად და დიდი ოდენობით დაუფლების მიზნით).

სსკ-ს 179-ე მუხლის II ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით ქმედების კვალიფიკაცია არასწორად მიმაჩნია. 177-ე მუხლის შენიშვნის თანახმად საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში „დიდ ოდენობად ითვლება ნივთის ღირებულება 10000 ლარის ზევით“. მოცემულ შემთხვევაში დამნაშავეები არც რეალურად დაუფლებიან ამ ოდენობის ქონებას და არც საქმის მასალები მიუთითებენ იმაზე, რომ მათ ასეთი მიზანი ჰქონდათ. მით უმეტეს რომ მანქანა გაიტაცეს არა მისაკუთრების, არამედ დროებითი გამოყენების მიზნით. ამაზე ქმედების 184-ე მუხლით კვალიფიკაცია მიუთითებს (ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნის გარეშე).²⁸

2.4. ყაჩაღობის გამიჯვნა მასთან ახლო მდგომ სხვა შემადგენლობისაგან

2.4.1. ბანდიტიზმის გამიჯვნა ყაჩაღობისგან

ბანდიტიზმისაგან ყაჩაღობის გამიჯვნის პრობლემა წამოიჭრება მაშინ, როცა საკითხი ეხება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ ყაჩაღურ თავდასხმას. ამიტომ აუცილებელია ამ ორ ქმედებათა გამიჯვნა ერთმანეთისაგან. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლის მიხედვით ბანდიტიზმი ეს არის მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა ან ხელმძღვანელობა პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით, აგრეთვე ასეთ ჯგუფში (ბანდაში) ან მის მიერ მოწყობილ თავდასხმაში მონაწილეობა. კანონში პირდაპირ არ არის მითითებული პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზანი.

²⁸ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადანწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე 1999წ #7

8. მუჟავანაძის აზრით: ბანდიტიზმის „ობიექტური მხარე გამოიხატება სხვისი ქონების უკანონოდ ხელში ჩაგდებაში“²⁹ ჩვენ ვერ დავეთანხმებით 8. მუჟავანაძის მოსაზრებას, ვინაიდან არ შეიძლება ბანდიტიზმის ობიექტური მხარე მარტო ქონების ხელში ჩაგდება იყოს.

ბანდიტური თავდასხმა გათვლილია უფრო შორს გამიზნულ და მასშტაბურად დიდ გეგმებზე. ასეთი შეიძლება იყოს ორგანიზაციის ფუნქციონირების შეწყვეტა თანამშრომლებზე თავდასხმის და დაშინების გზით, ასევე ისეთი ქმედებების ჩადენა, რომლებიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უშიშროებასა და წესრიგს. გარდა ამისა, ბანდის ყველა წევრს თუ არა, ერთს მაინც უნდა ჰქონდეს იარაღი ანუ ბანდა უნდა იყოს შეიარაღებული. ასევე ბანდა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- ა) მონაწილეთა რაოდენობა, ბანდა შედგება ორი ან მეტი წევრისაგან;
- ბ) ბანდის წევრების ერთმანეთთან კავშირის სიმყარე. ამასთან ჯგუფი მყარია მაშინ, როცა ჯგუფში მყოფ ადამიანების აქვთ გარკვეულ ტერიტორიაზე რამდენიმე დანაშაულის ჩადენის მიზანი.

ჯგუფური დანაშაულების საშიშროება მეტად მაღალია და შესაბამისად კოდექსში მაკვალიფიცირებელ გარემოებად არის დასახელებული. ბანდასა და ორგანიზებულ ჯგუფს შორის დიდი განსხვავება არაა, მაგრამ საუბარია იმაზე, რომ ყაჩაღობის ჩადენისათვის ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ყაჩაღობა რადიკალურად განსხვავდება ბანდიტიზმისაგან. ჯერ ერთი, ყაჩაღობის დროს ჯგუფის მიზანი არის ნივთის მისაკუთრება და სწორედ ამ მიზნით არის ის ორგანიზებული, ხოლო ბანდის ან მისი შექმნის მიზანი არის პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმა.

მართალია, ყაჩაღობის დროს ნივთის მისაკუთრება ხდება თავდასხმის გზით, მაგრამ შეიძლება ეს ორგანიზებული ჯგუფი არ იყოს შეიარაღებული და შეიძლება ჯგუფის წევრები ფლობდნენ ადამიანზე ფიზიკური ზემოქმედების ისეთ ილეთებს და საშუალებებს, რომელიც საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

²⁹ 8. მუჟავანაძე, სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი, კომენტარები). ქუთაისი – 2000. გვ 282.

მეორე, ორგანიზებული ჯგუფის შექმნა ნივთის მისაკუთრების მიზნით, არის ყაჩაღობის მომზადება, ხოლო ბანდის შექმნა პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით არის ბანდიტიზმი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ბანდას შეიძლება ქონდეს ორგანიზებულობის ნიშანი, ანუ ის იყოს გარკვეული დარგის სპეციალისტთა, სპეციალურად შერჩეულ დამნაშავეთა და სტრუქტურულად მართვად ადამიანთა ჯგუფი.

სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგნაირია: უზენაესმა სასამართლომ განიხილა მსჯავრდებულების: ი. სოსიაშვილისა და ზ. შოშიაშვილის ადვოკატების საკასაციო საჩივრები. საბრალდებო დასკვნის შესაბამისად ლ. სოხიტაშვილს ბრალი ედება იმაში, რომ ჩაიდინა ბანდიტიზმი; ასევე ჯგუფურად და ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობა; ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა, ტარება, დამზადება და გადაზიდვა; მასვე ბრალად ედება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექენასა და შენახვაში; ზ. შოშიაშვილს ბრალი ედება იმაში, რომ ჩაიდინა ბანდიტიზმი: ასევე – ჯგუფურად, არაერთგზის და ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობა. ცეცხლსასროლი იარაღის საბრძოლო მასალის ფეთქებადი ნივთიერებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექენა, შენახვა ტარება დამზადება და გადაზიდვა; მასვე ბრალი ედება 2 ან მეტი პირის მკვლელობაში, და მკვლელობის მცდელობაში.

რაც გამოიხატა იმაში რომ, ზემოთხსენებულმა პირებმა, ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად, არაერთგზის მოახდინეს მოქალაქეებზე შეიარაღებული თავდასხმები მოძრავი ნივთების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ადამიანის სიცოცხლისათვისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ასეთი ძალადობის მექარით და მკვლელობებით დამამძიმებელ გარემოებებში ჯგუფურად. სხვა დანაშაულის ჩადენის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით. რის შედეგადაც მოქალაქეებს გასტაცეს ფული და სხვა ფასიანი ნივთები.

წინასწარმა გამოძიებამ ლ. სუხიტაშვილის ქმედება დააკვალიფიცირა სსკ-ს 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 224-ე მუხლით, 236-ე მუხლის I, II და

III ნაწილებით და 260-ე მუხლის I ნაწილით. ე. შოშიაშვილის ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ს 19, 109-ე მუხლის „ა“, „დ“, „ზ“, „თ“, „ი“, „ლ“ და „ო“ ქვეპუნქტებით, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 224-ე მუხლით და 236-ე მუხლის I, II და III ნაწილებით. საქმე განსახილველად დაექვემდებარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გადანყვეტილება უცვლელი დატოვა, ხოლო უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლომ განსასჯელებს მოუხსნა სსკ-ს 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები. ამავე კოდექსის 236-ე მუხლის I, II და III ნაწილები იმ საფუძვლით, რომ სსკ-ს 224-ე მუხლი მოიცავდა ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებს და დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს. რის შედეგადაც, მსჯავრდებულ ზ.შოშიაშვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ს მე-19, 109-ე მუხლის „ა“, „დ“, „ზ“, „თ“, „ი“, „ლ“, და „ო“ ქვეპუნქტებით, 224-ე მუხლით და მიესაჯა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ლ. სუხიტაშვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ს 224 მუხლით, 260-ე მუხლის I ნაწილით და საბოლოოდ მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა³⁰.

პირველი ორი ინსტანციის სასამართლომ ვერ შეძლო ყაჩაღობისა და ბანდიტიზმის ერთმანეთისაგან გამიჯვნა და ამ საქმიდან გამომდინარე იმის მითითება, რომ სსკ-ს 224-ე მუხლი (ბანდიტიზმი) მოიცავს ყაჩაღობის მუხლით გათვალისწინებულ ქმედებებს და დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ არ ექცევა ყურადღება სისხლის სამართლის საქმასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან დეტალებს და შესაბამისად სასამართლოს გადანყვეტილება არ შეესაბამისება კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

2.4.2. ძარცვის გამიჯვნა ყაჩაღობისგან:

³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2006წ. #7

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად, ძარცვაა სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.³¹ სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება არის პირის მიერ მესაკუთრისათვის ან მფლობელისათვის ხელმოუწვდომელ ადგილას ნივთის გადატანის (გადაადგილების) ან სხვა ნებისმიერი გზით მისი (ნივთის) ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის პრაქტიკული შესაძლებლობის მართლსაწინააღმდეგოდ წართმევა და მოპოვება.

ძარცვისას ნივთის აშკარად დაუფლება ნიშნავს ნივთის დაუფლებას მესაკუთრის, მფლობელის ან სხვა პირის თანდასწრებით, ამასთან აუცილებელია მძარცველს შეგნებული ჰქონდეს თავისი ქმედების აშკარა ხასიათი. „თუ დანაშაულის თვითმხილველს არა აქვს შეგნებული ჩადენილი ქმედების მართლსაწინააღმდეგობა ან თუ იგი წარმოადგენს დამნაშავეს თანაამსრულებელს (თანამონაწილს), ან თანამოაზრეს, ან ახლობელს, აშკარაა არა ძარცვა, არამედ ქურდობა“.³² თუკი ძარცვისას ნივთის მფლობელმა ან მესაკუთრემ ხელი შეუშალა დაუფლებას და მძარცველმა მის მიმართ გამოიყენა ძალადობა, რომელიც არის საშიში სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, ქმედება დაკვალიფიცირდება ყაჩაღობად.

ობიექტური მხრივ ძარცვა გამოიხატება სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლებაში. ძარცვა ისევე, როგორც ქურდობა, დამთავრებულია იმ მომენტიდან, როცა პირი რეალურად დაუფლებულია სხვის მოძრავ ნივთს და აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს ამ ნივთით ან განკარგოს იგი თავისი შეხედულებისამებრ. სუბიექტური მხრივ ძარცვის ჩადენა შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, რაც იმას ნიშნავს, რომ პირს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების (სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლების) მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის (მფლობელის ან მესაკუთრის დაზიანების) შესაძლებლობას და სურს შედეგი ანდა ითვალისწინებს ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას.

³¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ.178

³² გ.მამულაშვილი, სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, (ეკონომიკური დანაშაული), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2004წ. გვ. 32-33

პრაქტიკაში ხშირია დარცვის ყაჩაღობად და ყაჩაღობის დარცვად დაკვალიფიცირების შემთხვევები. ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მათი გამიჯვნა ერთმანეთისაგან. ყაჩაღობასა და დარცვას შორის ერთ-ერთი განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ძალადობის ინტენსივობის ხარისხი. თუ ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარის ფაქტის დადგენა, დარცვისას ასეთი სახის ძალადობის გამოყენების დადგენის აუცილებელობა არაა, რადგან დარცვის დისპოზიცია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის მუქარას არ ითვალისწინებს.

ყაჩაღობისას აუცილებელია თავდასხმის არსებობა, ხოლო დარცვისას არა. თუმცა ზოგ შემთხვევაში დარცვა შეიძლება თავდასხმის ფორმითაც. ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. ამასთან დარცვა მატერიალური დანაშაულია და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამთავრებულად ითვლება სხვისი ნივთის აშკარა დაუფლების შემდეგ, ხოლო ყაჩაღობა დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან, რადგან ეს უკანასკნელი ფორმალური შემადგენლობის დანაშაულია.

დარცვისა და ყაჩაღობის საერთო ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ორივე დანაშაულის გვარეობითი ობიექტია საკუთრება, უშუალო ობიექტი კი მესაკუთრის ან მფლობელის მიერ ნივთის მიმართ მისი უფლებების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობა, ხოლო საგანი სხვისი მოძრავი ნივთი. დარცვა ყაჩაღობას ემსგავსება მაშინ, როცა მისი ჩადენა ხდება ძალადობით, ან ძალადობის გამოყენების მუქარით, მაგრამ მათი განსხვავება შესაძლებელია ძალადობის ინტენსივობისა და საშიშროების ხარისხის მიხედვით.

ისე ხშირ შემთხვევაში დარცვის კლასიკური მაგალითია, როცა მძარცველი ხელიდან გამოსტაცებს ჩანთას დაბარალეხულს ან ჩამოგლეჯს ყელსაბამს, საყურეს და სხვა ნივთს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. დარცვის ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ ნიშანს, როგორც უკვე ვთქვით, წარმოადგენს მისი ჩადენა

ძალადობით ან ძალადობის მუქარით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ძარცვის ძალადობით ჩადენილად აღიარებას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ მძარცველის ქმედებას ნივთის დაუფლებისას თან ახლავს ძალადობა, რომელიც მიმართულია არა მარტო საკუთრების წინააღმდეგ, არამედ თვითონ დაზარალებულის წინააღმდეგაც, მაგრამ ძალადობა ძარცვისას არ აღწევს იმ ინტენსივობას, რომელიც დამახასიათებელია ყაჩაღობისათვის.

ობიექტური მხრივ ძალადობრივი ძარცვა გამოიხატება სხვისი მოძრავი ნივთის აშკარად დაუფლებაში ძალადობის გამოყენებით, რომელიც არ არის საშიში მესაკუთრის ან მფლობელის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის. ძარცვისას ძალადობა შეიძლება იყოს ფიზიკური და ფსიქიკური. ფიზიკური ძალადობის ქვეშ იგულისხმება ადამიანის დაზიანება ან საფრთხის შექმნა, უშუალოდ მის გარეგან ან შინაგან ორგანოებზე ან ნერვულ სისტემაზე ზემოქმედების გზით.

ძარცვისას გამოყენებულმა ძალადობამ არ უნდა გამოიწვიოს ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე დაზიანება. ფიზიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ცემაში ან სხვაგვარ ძალადობაში, რომელიც დაზარალებულს ტკივილს განაცდევინებს. მაგალითად, ხელის გადაგრეხა და სხვა ილეთების გამოყენება, ფეხის გამოდებით პირის წაქცევა, ქალისათვის საყურის მოგლეჯა და სხვა.³³

ამდენად, მსუბუქი დაზიანება შეიძლება ჩაითვალოს ძალადობრივი ძარცვის ნიშნად, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ძალადობის გამოყენება ყოველთვის არ გულისხმობს რაიმე შედეგის განხორციელებას. ძალიან საინტერესოა ერთი გარემოება, რომელიც იკვეთება ყაჩაღობისა და ძარცვის დისპოზიციების შესწავლის შედეგად. ყაჩაღობის დროს აუცილებელია თავდასხმა, ხოლო ძარცვის დროს არა, რადგან იქ ჩანერილია ნივთის აშკარა დაუფლებაზე და ამას ასე განმარტავენ მთელი საბჭოთა პერიოდისა და დღეს მოქმედი იურისტები. მაგრამ ამასთან თუ თავდასხმისას ძალადობა არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის

³³ გ.მამულაშვილი, მ.ლეკვიშვილი, „პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის“ თბ, 1999წ, გვ. 28

საშიში ის დაკვალიფიცირდება, როგორც ძარცვა ძალადობით, რომელიც არ არის საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. არადა დასაწყისში ყაჩაღობა და ძარცვა ასეთ შემთხვევაში ერთნაირი ხერხით ხდება. კვლევამ გვიჩვენა, რომ არსებობს ძარცვის სამი შემთხვევა: 1) როცა პირი იტაცებს ნივთებს მესაკუთრის ან მფლობელის თანდასწრებით, მაგრამ არანაირი ფიზიკური ან სხვა სახის შეხება მასთან არა აქვს. 2) როცა პირი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე სტაცებს ხელთ არსებულ საგნებს მფლობელს. 3) როცა პირი უშუალოდ ესხმის თავს დაზარალებულს და ითხოვს ნივთს. იყენებს ძალადობას ან ძალადობის მუქარას, რომელიც არაა საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ძარცვის ამ სამი ფორმიდან მხოლოდ მესამეს აქვს მსგავსება ყაჩაღურ თავდასხმასთან, რადგან ზუსტად ამ ფორმით ხდება ყაჩაღობის ჩადენაც.

განსხვავება არის მხოლოდ ძალადობის ხარისხში. აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ ძარცვის დროსაც აქვს ადგილი თავდასხმას, რადგან კვალიფიკაციის დროს ყურადღება ექცევა მხოლოდ იმას, იყო თუ არა ძალადობა საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში. სხვა ავტორები ამ დასკვნამდე არ მისულან, რადგან მათთვის თავდასხმა თითქმის გაიგივებულია ძალადობასთან, მაგრამ ეს საკითხი ნაშრომში მარტივი დასაწახია თავდასხმის ცნების წაკითხვისას, რომელიც ზემოთ განმარტებულია, როგორც მოთხოვნის წაყენება ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის შესახებ და რომელსაც თან ახლავს ძალადობა, ხოლო ძალადობის ხარისხი განარჩევს ერთმანეთისაგან ყაჩაღურ თავდასხმასა და ძარცვის დროს ჩადენილ თავდასხმას. ასევე ფიზიკური ძალადობით ნივთის დაუფლებისას სასამართლო პრაქტიკაში ყაჩაღობისა და ძარცვის გამიჯვნის თვალსაზრისით სირთულეებია.

2.4.3. გამოძალვის გამიჯვნა ყაჩაღობისგან

სისხლის სამართლის კანონი იცნობს ფორმალური შემადგენლობის დანაშაულებს, სადაც დანაშაულის შემდგომ სტადიას დამთავრებული დანაშაული წარმოადგენს. ასეთია მაგ., გამოძალვა და ყაჩაღობა. გამოძალვა, ესე იგი სხვისი ნივთის ან ქონებრივი

უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა, რასაც ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან მათი ნივთის განადგურების ან დაზიანების ანდა მათთვის სახელის გამტეხი ცნობის გახმაურების ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების შექარა, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მათი უფლებები.

გამოძალვა აშკარად წააგავს ყაჩაღობას, რადგან ყაჩაღობა დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან. თავდასხმა კი გულისხმობს ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის მოთხოვნას. გამოძალვის დისპოზიციაც პირდაპირ უთითებს, რომ გამოძალვა არის სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა. როგორც ვხედავთ, ორივე დანაშაული დამთავრებულია მოთხოვნის წაყენებისთანავე. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ყაჩაღობის საგანს წარმოადგენს სხვისი მოძრავი ნივთი, ხოლო გამოძალვისას კი ქონებრივი უფლება ან ქონებრივი სარგებლობა. გარდა ამისა, განსხვავებაა იმაშიც, რომ ყაჩაღობის დროს ძალადობის გამოყენების შექარა გულისხმობს ძალადობის განხორციელებას დაუყოვნებლივ, ხოლო გამოძალვისას კი მომავალში. იურიდიულ ლიტერატურაში შემოთავაზებული იყო გამოძალვის მატერიალურ დანაშაულად გამოცხადების რეკომენდაციები, მაგრამ ეს არაფრით გამართლებული არ იყო. ჩვენი აზრით, გამოძალვა ისევე, როგორც ყაჩაღობა, ფორმალურ დანაშაულად უნდა დარჩეს.

სასამართლო პრაქტიკა მდგომარეობს შემდეგში: შექარა ყაჩაღობის დროს უნდა იყოს იმ წუთიერი, ე.ი უნდა არსებობდეს მისი დაუყოვნებლივ განხორციელების საშიშროება, თუ დამნაშავის მხრიდან ნივთის გადაცემის მოთხოვნა არ შესრულდება. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება ყაჩაღობა გამოძალვისაგან, რომლის დროსაც ასევე ადგილი აქვს ძალადობის გამოყენების შექარით ნივთის გადაცემის მოთხოვნას. ყაჩაღობისაგან განსხვავებით, შექარა გამოძალვის დროს მომავლისკენაა მიმართული და განხორციელდება არა მოთხოვნის მომენტში არამედ გარკვეული დროის შემდეგ.

ლ.ს-ძე (ადრე ქერდობისათვის ნასამართლევი) მიცემული იქნა პასუხისმგებლობაში და სამართალში სსკ-ს 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. წინასწარი გამოძიების საქმის მასალების მიხედვით, საქმის ფაბულა ასეთია: 2009 წლის 27 დეკემბერს, დაახლოებით 06:00 სთ-ზე მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ლ.ს-ძე გამოძიებით დაუდგენელ ორ პირთან ერთად იმყოფებოდა ქ. თბილისში, მათ გააჩერეს ტაქსი, რომლითაც მგზავრობდნენ დაზარალებული მ.გ-ვა მისი და ს.გ-ვა და მეგობარი მ.მ-ვა. ... ის ქუჩაზე #10 კორპუსთან ლ.ს-ძემ მძლოლს გააჩერებინა მანქანა და დანის გამოყენებით აიძულა მ.გ-ვა გადმოსულიყო მანქანიდან და მას გაჰყოლოდა. ს-ძე მ.გ-ვა შეიყვანა თავისი მამიდაშვილის, ვ.ხ-შვილის ბინაში და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით გასტაცა ტყავის ქურთუკი, ოქროს საყურეები, ტყავის ხელჩანდა რომელშიც იდო 50 აშშ დოლარი და 20 ლარი.

სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადნენ დაზარალებული და მოწმეები ლ.ს-ძემ სასამართლოზე დაკითხვისას აღიარა რომ 2009 წლის 27 დეკემბერს თავის ორ მეგობართან ერთად გადანყვითა დროის გატარება მსუბუქ ყოფაქცევის ქალებთან ერთად. ქალები მოძებნეს ქუჩაში და ლ.გ-მ ერთ ერთი მატგანი აიყვანა თავისი ბიძაშვილის სახლში. სქესობრივი აქტის სანაცვლოდ გადაუხადა 100 ლარი და შემდგომ მოითხოვა თანხის უკან დაბრუნება, რაზეც მ.გ-ვამ უარი განაცხადა. იგი დაემუქრა მ.გ-ვას კბილის გაზით ამოძრობით, თუ ფულს არ დაუბრუნებდა. ამაზე მ.გ-ვა შეშინდა და ბინა სასწრაფოდ დატოვა. ბინაში დარჩა ტყავის ქურთუკი და ხელჩანთა, რომლისთვისაც მას ხელი არ უხლია. განსასჯელმა უარყო დანით დამუქრებისა და ამ გზით დაზარალებულისათვის ხსენებული ნივთის წართმევის ფაქტი.

სასამართლო განხილვისას პროკურორმა უარი თქვა სსკ-ს 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაზე და მოითხოვა განსასჯელის ქმედების დაკვალიფიცირება სსკ-ს 181 მუხლით. პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ ლ.ს-ძე მოუხსნა ყაჩაღობის ბრალდება და მსჯავრი დასდო სსკ-ს 181-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (გამოძალვა, ჩადენილი არაერთგზის).

ამგვარ კვალიფიკაციას საფუძვლად დაედო განსასჯელის მიერ სასამართლოზე მიცემული ჩვენება, რომელშიც მან უარყო დანის გამოყენებით დაზარალებულისათვის ტყავის ქურთუკის, ოქროს საყურეებისა და ხელჩანთის წართმევა.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, კვალიფიკაციის შეცვლისას სასამართლო დაეყრდნო ლ.ს-ძის ჩვენებას, ვინაიდან დაზარალებული და მონმეები რომლებიც ამხელდნენ მას ყაჩაღობაში, პროცესზე არ გამოცხადდნენ. რაიმე სხვა არგუმენტი კვალიფიკაციის შეცვლის სასარგებლოდ არც ბრალდების ახალ წერილობით ფორმულირებასა და არც სასამართლოს განაჩენში მითითებული არ არის. აგრეთვე ვერ დავასაბუთებთ ლ.ს-ძის ქმედებაში გამოძალვის შემადგენლობის არსებობას. გამოძალვისას დამნაშავე რაღაც დროს აძლევს დაზარალებულს, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს ნივთის გადაცემა. მუქარა მომავლისკენაა მიმართული და რეალიზირებულ იქნება, თუ დროის ამ პერიოდში ნივთის გადაცემის მოთხოვნა არ შესრულდება. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის დაუყოვნებლივ გამოყენების მუქარა, თუ ფულის გადაცემის მოთხოვნა არ შესრულდებოდა. ასევე აღიქვა მუქარის შინაარსი დაზარალებულმაც, რომელიც შეშინდა და გაიქცა. ასეთი მუქარა კი აფუძნებს ყაჩაღობისა და არა გამოძალვის შემადგენლობას. არც განსასჯელის ჩვენება და არც მოცემული საქმის სხვა გარემოებები არ მიუთითებს იმაზე, რომ ძალადობის მუქარა მომავლისკენ იყო მიმართული და დამნაშავის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში რეალიზირებული იქნებოდა არადაუყოვნებლივ, ფულის მოთხოვნის მომენტში, არამედ რაღაც დროის გასვლის შემდეგ. სასამართლოს კი (ისევე როგორც სახელმწიფო ბრალმდებელს ბრალდების შეცვლისას) საერთოდ არ მიუქცევია ყურადრება ამ გარემოებისათვის და სათანადო არგუმენტაციის გარეშე განსასჯელის ქმედება გამოძალვად მიიჩნია.

თავი III. კვლევის შედეგები

ყაჩაღობის ობიექტის კვლევისას მივედი შემდეგ შედეგებამდე, რომ ყაჩაღობა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული (ქურდობა, ძარცვა, თაღლითობა) საკუთრების უფლებას ხელყოფს მფლობელის ან მესაკუთრის მიერ ნივთის მიმართ მისი უფლებების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობის დროებით პარალიზებით ან სამუდამოდ მოსპობის გზით. ყაჩაღობის დროს მეორე ობიექტი არის ადამიანის ჯანმრთელობა, რომლის ხელყოფა ხდება ადამიანის სხეულსა და ფსიქიკაზე ძალადობის ან ძალადობის მუქარის გამოყენების გზით. ყაჩაღობის დროს ფსიქიკური ძალადობის სახე - მოკვლის მუქარა უშუალოდ არ ხელყოფს ადამიანის სიცოცხლეს. ამდენად, ყაჩაღობის ობიექტების სტრუქტურიდან უნდა გამოირიყოს ადამიანის სიცოცხლე.

ყაჩაღობის ობიექტი არის საკუთრება და ადამიანის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა, მაგრამ მათ შორის უპირატესობა ენიჭება საკუთრებას, ვინაიდან ყაჩაღობა არის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული.

თავდასხმისას მოჩვენებითი იარაღის გამოყენება კვალიფიკაციას არ ცვლის, თუ მას დაზარალებული ნამდვილ იარაღად აღიქვამს. დამნაშავის მიერ ქონების დასაუფლებლად იარაღის იმიტაციის გამოყენება, რომელსაც გარეგნული მსგავსება აქვს ნამდვილ იარაღთან, მაგრამ არ შეიძლება მისით სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება, მაინც ძალადობად მიიჩნევა, თუ ეს იარაღი მსხვერპლის მიერ ნამდვილად აღიქმება და მას ეუფლება შიშის გრძნობა და ხდება იძულებულია დათმოს ქონება.

მუქარა ყაჩაღობის დროს უნდა იყოს იმნუთიერი, რომელიც ქმნის საშიშროებას ძალადობის დაუყოვნებლივ გამოყენებისა, თუ დაზარალებული არ დააკმაყოფილებს თავდამსხმელის მოთხოვნას. თუ ნივთის გადაცემის მოთხოვნას თან ახლავს სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მომავალში განხორციელების მუქარა, ქმედება დაკვალიფიცირდება გამოძალვად.

ფსიქიკური ძალადობა გამოიხატება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარაში. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა გულისხმობს დაზარალებულზე ფსიქიკურ ზემოქმედებას იმაში დარწმუნების მიზნით, რომ წინააღმდეგობის განწევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოკლავენ ან ჯანმრთელობას დაუზიანებენ. ყაჩაღობის პროცესში გამოყენებული მუქარა, უნდა პასუხობდეს მთელ რიგ პირობებს: ა) მუქარა თავისი შინაარსით წარმოადგენს დაზარალებულის ინფორმირებას სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ფიზიკური ძალადობის გამოყენებაზე, რომელიც განხორციელდება მისი მხრიდან წინააღმდეგობის ან მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში. ბ) მუქარა, რაც არ უნდა უეცარი იყოს, დაზარალებულმა ის ჯერ უნდა აღიქვას, რაც ნიშნავს იმის გააცნობიერებას, რომ მასზე განხორციელებულია თავდასხმა ნივთის დაუფლების მიზნით. გ) მუქარა უნდა იყოს რეალური, მუქარა მაშინ არის რეალური, როცა თავდამსხმელი მართლა აპირებს ძალადობის განხორციელებას და დაზარალებულს შეექმნება იმის საფუძველი, რომ მუქარა რეალურად შეიძლება განხორციელდეს, ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს თავდამსხმელის მხრიდან პირდაპირი ან არაპირდაპირი მითითება, რომ ის გამოიყენებს სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას. დ) მუქარა უნდა იყოს იმნუთიერი ანუ ისეთი, რომელიც ქმნის ძალადობის დაუყოვნებლივ გამოყენების საშიშროებას, თუკი დაზარალებული არ დააკმაყოფილებს თავდამსხმელის მოთხოვნას. თუ ნივთის გადაცემის მოთხოვნას თან ახლავს სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მომავალში განხორციელების მუქარა, ქმედება დაკვალიფიცირდება

გამოძალვად. მექარის გამოხატვის ფორმა სხვადასხვა შეიძლება იყოს (სიტყვით, უესტით, იარაღის დემონსტრირებით და სხვა).

ასევე იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ ასეთ დაზიანებას უნდა განეკუთვნებოდეს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც, რომელიმე ორგანოს ფუნქციის ხანგრძლივ დარღვევას ან ჯანმრთელობის სხვაგვარ ხანგრძლივ მოშლას იწვევს, რაც დაკავშირებულია შრომის უნარის ერთ მესამედზე ნაკლებად დაკარგვასთან, აგრეთვე, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება; ხოლო სხეულის მსუბუქი დაზიანება, რომელიც ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლას იწვევს, არ შეიძლება იყოს საფუძველი იმისა, რომ ეს ქმედება დაკვალიფიცირდეს ყაჩაღობად. ასეთი მსჯელობა ეწინააღმდეგება ყაჩაღობის ცნებას, ვინაიდან 179-ე მუხლის მიხედვით, ყაჩაღობას მიეკუთვნება როგორც სიცოცხლის, ისე ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა. ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, რომელმაც ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა გამოიწვია, შეიცავს საშიშროებას ჯანმრთელობისათვის; გარდა ამისა, ყაჩაღობად ჩაითვლება თავდასხმა სხვისი ქონების დაუფლების მიზნით, რომელსაც საერთოდ არ გამოუწვევია ჯანმრთელობის დაზიანება, მაგრამ ძალადობის გამოყენების მომენტში ქმნიდა რეალურ საშიშროებას პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის.

თავდასხმა არ არის ერთაქტიანი მოქმედება, რომელიც ამოიწურება ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის გამოყენებით, არამედ დაზარალებულზე ზემოქმედების პროცესია, რომელშიც იმალება რეალური საშიშროება ძალადობის გამოყენებისათვის მთელი გარკვეული დროის მონაკვეთში, სანამ გრძელდება თავდასხმა. ამიტომ თავდასხმა ძალადობასთან განუყრელად დაკავშირებული ცნებაა, მაგრამ არაა მასთან გაიგივებული. სწორედ ამიტომ მიუთითებს კანონი, ამბობს თავდასხმაზე, რომელიც ჩადენილა ძალადობით.

თავდასხმა იარაღის გამოყენებით ყოველთვის ყაჩაღობად უნდა დაკვალიფიცირდეს, მაშინაც კი, როცა ნივთის გადაცემის მოთხოვნისას დამნაშავე

იარაღს არ უმიზნებს და არც გასროლით ემუქრება დაზარალებულს. მთავარია, ეს უკანასკნელი ხედავდეს, რომ დამნაშავე შეიარაღებულია. ცხადია დამნაშავემაც იცის, რომ იარაღით თრგუნავს დაზარალებულის ნებას, რაც აადვილებს ნივთის დაუფლების შესაძლებლობას.

ყაჩაღობისას თიზიკური ძალადობის კვლევისას მივედით შედეგამდე, რომ სისხლის სამართალში მიღებულია დაზარალებულზე ზემოქმედების შემდეგი სახეები: ა) ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ხელყოფა, სხეულის გარეგანი ქსოვილების ანატომიური მთლიანობის დარღვევის გზით. ბ) ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა, სხეულის გარეგანი ქსოვილების ანატომიური მთლიანობის დარღვევის გარეშე მის შინაგან ორგანოებზე ან ნერვულ სისტემაზე ზემოქმედების გზით; მონამვლა, უკონო მდგომარეობაში ჩაგდება ძლიერმოქმედი ან ნარკოტიკული ნივთიერების შეყვანით და ა.შ. ყაჩაღობის დროს ხსენებული ნივთიერების გამოყენება, ანუ შეყვანა დაზარალებულის ორგანიზმში უნდა ხდებოდეს ძალის გამოყენებით და არა მოტყუებით. თუ მოტყუებით ან ნებაყოფილობით იქნა იგი მიღებული დაზარალებულის მიერ, ის არ ჩაითვლება ყაჩაღობად. გ) ადამიანის პირადი თავისუფლების დაკარგვა ან შეზღუდვა. თუ ყაჩაღური თავდასხმის დროს დაზარალებულს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება (მაგალითად, ჩაამწყვდიეს სარდატში და ასეთ მდგომარეობაში მიატოვეს), ქმედება ყაჩაღობისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის შესაბამისი მუხლების ერთობლიობით დაკვალიფიცირდება. ყაჩაღობის დროს დაზარალებულისათვის გადაადგილების თავისუფლების ისეთი შეზღუდვა, რომელიც საქმის ფაქტობრივი გარემოების მიხედვით ყაჩაღური თავდასხმისათვის დამახასიათებელი ძალადობის ელემენტია.

დასკვნა

თავდასხმაში იგულისმება აშკარა, უეცარი, აგრესიული, ძალადობასთან დაკავშირებული მოქმედება, რომელიც საშიშია სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის და რომელსაც შეიძლება თან ახლდეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. თავდასხმა და მის შედეგად უშუალოდ განხორციელებული ძალადობა ორი განუყოფელი აგრესიული აქტის ერთიანობაა. ამიტომ თავდასხმაზე, როგორც ყაჩაღობის დამოუკიდებელ ობიექტურ ნიშანზე, შეიძლება მხოლოდ პირობითად ვილაპარაკოთ, ვინაიდან ძალადობის გარეშე იგი კარგავს თავის სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას.

ყაჩაღობა მიეკუთვნება ე.წ. „შეკვეცილი შემადგენლობის“ დანაშაულს, რაც ნიშნავს იმას, რომ მისი დამთავრების მომენტი გადმოტანილია უფრო ადრეულ, მცდელობის სტადიაზე. კერძოდ, კანონის მიხედვით, ყაჩაღობა დამთავრებულად ითვლება პიროვნების მიმართ სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის ან ასეთი

ძალადობის გამოყენების მუქარის მომენტიდან, ქონების დაუფლების ფაქტს კი არ აქვს მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა.

ქმედების ყაჩაღობად დასაკვალიფიცირებლად, იგი უნდა შეიცავდეს სამ ნიშანს: ა) სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი; ბ) თავდასხმა, რომელიც მოიცავს ორ მომენტს: დაზარალებულთან უეცარ, მოულოდნელ, უშუალო შეხვედრას, ასევე თვითონ შეხვედრა შეიძლება შედგეს წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით. ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის მოთხოვნის წაყენებით; გ) სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარას ანდა ასეთ ძალადობას. ყაჩაღური თავდასხმისას აუცილებელია ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის მუქარის ან ასეთი ძალადობის გამოყენება. აქედან გამომდინარე, ყაჩაღურ თავდასხმად შეიძლება ვაღიაროთ ისეთი მოქმედება, რომელიც ხასიათდება დაზარალებულისათვის ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის უეცრად, უშუალოდ მოთხოვნის წაყენებით რომელსაც თან ახლავს ჯანმრთელობის ან სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა ან ასეთი ძალადობის გამოყენება.

საკუთრება განსაზღვრავს მესაკუთრეს, ხოლო მესაკუთრე ის პირია, რომელსაც, როგორც წესი, მატერიალურ ზიანს აყენებს საკუთრებაში არსებული ქონების ნებისმიერი ხერხით გატაცება. ქონების გატაცებით მესაკუთრისათვის, როგორც წესი, მატერიალური ზიანის მიყენებაზეა ლაპარაკი, იმიტომ, რომ ქონების გატაცება ზარალის მიყენების გარეშე არ ხდება, მაგრამ ამ დანაშაულის შედეგად ზარალი შეიძლება განიცადოს არა მესაკუთრემ, არამედ მფლობელმა, ზარალის ანაზღაურებაზე პასუხიმგებელმა პირმა და სხვამ. მაგალითად, სესხად ან სხვისთვის გადასაცემად მიღებული ფული არ წარმოადგენს მისი მფლობელის საკუთრებას, მაგრამ მის მფლობელს ეს ფული თუ მოჰპარეს, ზარალს განიცდის იგი და არა მესაკუთრე. ანალოგიურად წყდება საკითხი მიზარებული ქონების გატაცებისა და სხვა მსგავს შემთხვევებში.

ნივთის დაუფლების ობიექტური და სუბიექტური ნიშნების დახასიათების შემდეგ შეიძლება ვთქვათ, რომ ნივთის დანაშაულებრივი დაუფლება არის ანგარების მოტივით და მიზნით მისი უკანონო, უსასყიდლო ამოღება მესაკუთრის ფონდებიდან კანონში მითითებული ფორმებით და მისი გადასვლა ამა თუ იმ პირის ისეთ სარგებლობაში, რაც მატერიალურ ზიანს აყენებს ნივთის მესაკუთრეს.

ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, რომელიც მიყენებულია სიცოცხლის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების გარეშე და რომელსაც არ გამოუწვევია ჯანმრთელობის შერყევა და არ მოჰყოლია შრომისუნარიანობის უმნიშვნელო დაკარგვაც კი, ქმნის მხოლოდ ძალადობრივი ძარცვის საფუძველს.

ძარცვის ძალადობით ჩადენილად აღიარებას საფუძველად უდევს ის გარემოება, რომ მძარცველის ქმედებას ნივთის დაუფლებისას თან ახლავს ძალადობა, რომელიც მიმართულია არა მარტო საკუთრების წინააღმდეგ, არამედ თვითონ დაზარალებულის წინააღმდეგაც, მაგრამ ძალადობა ძარცვისას არ აღწევს იმ ინტენსივობას, რომელიც დამახასიათებელია ყაჩაღობისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები

1. გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ რედაქცია, თბ., 2005;

2. გამყრელიძე ო., ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1998;
3. გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, გამომც. „მაცნე“, თბ., 2005;
4. ებრაელიძე თ., ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხისათვის. კრებული „სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები“, თბ. 2006;
5. კვარაცხელია რ., ყაჩაღობის ობიექტი და საგანი „თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომები“, 2005 # III-IV;
6. კვარაცხელია რ., ყაჩაღობასთან ბრძოლა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა, თბ. 2006;
7. კვარაცხელია რ., განსაკუთრებული ისტორიული, კულტურული, მეცნიერული ან ეროვნული ღირებულების ნივთის ან დოკუმენტის დაუფლების სისხლის სამართლებრივი დახასიათება და მისი კვალიფიკაციის პრობლემები. თბ. 2008 უურ. „ცხოვრება და კანონი“ #2(4);
8. კვარაცხელია რ., ყაჩაღობის კვალიფიკაციის და გამოძიების პრობლემები, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2014;
9. კვარაცხელია რ., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2010;
10. კვაშილავა ალ., საკუთრების დაცვის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემები. თბ. გამომც. „მესხეთი“. 1997;
11. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2011;
12. ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., „პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის“, თბ., 2011;
13. მამულაშვილი გ., ლეკვეიშვილი მ., პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის თბ, 1999;

14. მჟავანაძე ზ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, (კომენტარები), თსუ, 2000;
15. მჟავანაძე ზ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (კომენტარები). ქუთაისი 2000;
16. მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ. 2004;
17. მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის სასამართლოს პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური დანაშაული) თბ. 2004;
18. ჟურნალი „ადვოკატი-მეოხი“, სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები (ზოგადი ნაწილი), თბ., 2003;
19. ტურავა მ. და „სხვები“, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004;
20. ტურავა მ. და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი, თბ. 2005;
21. წულაია ზ., სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. ტ. II. თბ.2001;
22. ჭანტურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება, მეორე გამოცემა, გამომც. „სამართალი“, თბ., 2001;

სასამართლო პრაქტიკა

23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2009წ. #6;
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2010წ. #7;
25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2008წ. #5;
26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2001წ. #10;

27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე 2011წ. #7;
28. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე 1999წ. #7;
29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2006წ. #9;
30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2008 წ. #10;
31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე, თბ. 2009წ. #4;
32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე 2006წ. #7;

ნორმატიული აქტები

33. საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 1995
34. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ. 1999
35. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2009
36. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ. 1997

ვებ. გვერდები

37. <https://matsne.gov.ge/>
38. <http://www.supremecourt.ge/>
39. <http://www.lawyers.ge/>
40. <http://www.law.msu.su/>